საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 ნოემბერი, 2012 წელი.

№213 (7089)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჯდვეტი სიფცვაა, ფცეტილებით და ჭიანებით ბეტონის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ძვირფასი კი არა, ძვირფასიანი პრეზიდენტი

ღრუბელ-ღრუბელ რომ დაფრინავს, ეგ ფრენა რა გვიჯდება?!

ვინმე ტვინგაცხელებულმა ეს ცილისწამებად რომ არ ჩამითვალოს, მარტო გაპრეზიდენტებისთანავე საჯაროდ დადებულ მის ორ პირობას შევახსენებ მკითხველს

2



გამომცემლობა „სამშობლო“ — პრესის სახლი

ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში, დიდი იმედია, აუცილებლად გათვალისწინებული იქნება სამშობლოს მსახური ჟურნალისტებისთვის წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნება პრესისთვის, რომელიც მთელი შემართებით მხარში ედგა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლას, ანუ იმ ჭეშმარიტად სახალხო ძალას, ეს სამართლიანობა ერთხელ და სამუდამოდ რომ უნდა დაამკვიდროს საქართველოში!..

ბიძინა ივანიშვილი და „ახალი ჩრდილოური პოლიტიკა“

3

80 მილიონი ლარი კახელ გლეხამდე არ მიუტანიათ

2

სოზარ სუბარი - ყველა პატიმარი, ვინც კანონს დაარღვევს, მკაცრად დაისჯება

3

რას ასწავლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

7

1. ჯიხაშკარელები ვერაფრით ეგუებიან თავიანთ სოფელში როლანდ ახალაიას გამარჯვებას

2. „არც ერთ რაიონში არ არის სკოლები ისე პოლიტიზებული, როგორც ზუგდიდის რაიონში“

4

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ცრუ კაცი

ძვირფასი კი არა, ძვირფასიანი პრეზიდენტი

ღრუბელ-ღრუბელ რომ დაფრინავს, ეგ ფრენა რა გვიჯდება?!

კარგად ვიცი, რომ პრეზიდენტი ქვეყნის სახე და ეროვნული სიმბოლოა, რომელსაც გაფრთხილება და პატივისცემა სჭირდება. და, ამის მიუხედავად, მაინც ასეთი რუბრიკა-სათაურ-ქვესათაურით „მოვრთე“ ეს წერილი, რადგან მისივე ნათქვამ-ნაკეთებმა გამოაჩინა ასეთად.

ვინმე ტვინგაცხელებულმა ეს ცილისწამებად რომ არ ჩამითვალოს, მარტო გაპრეზიდენტებისთანავე საჯაროდ დადებულ მის ორ პირობას შევახსენებ მკითხველს:

— შევარდნაძე რომ უზარმაზარი ამალით დადის საზღვარგარეთ ვიზიტებით, რასაც ასევე

უზარმაზარი ფული სჭირდება, მე ასე არ მოვიქცევი — საზღვარგარეთული ვოიაჟებისთვის ჩვეულებრივ სარეისო თვითმფრინავებს გამოვიყენებ და მხოლოდ რამდენიმე კაცს გავიყოლებო, — თქვა მან.

პირველი ვიზიტით მოსკოვში იგი მართლაც სარეისო თვითმფრინავით ჩავიდა და თან მართლაც რამდენიმე კაციღა ახლდა, მერე კი...

მერე კი, ძალაუფლების განმტკიცებისა და მისით თრობატკბობის გაძლიერების კვალობაზე, აიწყვიტა, მაგრამ რა აიწყვიტა!

თანაც თანამდებობის პირთა თუ სპეციალისტთა მხოლოდ რამდენიმეკაციანი ამალა კი არა, საზღვარგარეთ თავისი ბებიაც დაჰყავდა (პარალელისთვის: თავის დროზე, გეხსომებათ, ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და გამორჩეულ პრეზიდენტს ბილ კლინტონს, რომლის პრეზიდენტობისას ამ სუპერსახელმწიფოს ბიუჯეტი ისეთი პროფიციტური იყო, რომ შემოსული თანხისთვის გასავლის მოძებნა უჭირდათ, რა სკანდალი აუგორეს იმის გამო, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავში საკუთარი ქალიშვილი ჩაისვა. არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მასვე კინაღამ იმპიჩმენტი მოუწყვეს, უკაცრავი პასუხია და, ერთ ძუკნა მონიკა ლევინსკისთან (ქალი რომ სპერმიან კაბას სპეციალურად შეინახავს მამაკაცის დასაშანტაჟებლად, ძუკნაა, აბა, რა!) შემთხვევითი კავშირის გამო. **და კვლავ პარალელისთვის:** მართლაც სულზე მოგვისწრო პირველი ოქტომბრის არჩევნებმა, თორემ ჩვენი „მაჩო“ ქალებიდან უკვე კაცებზე აპირებდა გადასვლას!

თვითმფრინავით მგზავრობის ფულს დავზოგავო კი ამბობდა, მაგრამ მერე, სინამდვილეში, ერთ პირად თვითმფრინავს არ დასჯერდა, რომლის შეძენა რა დაჯდა და არის თუ არა ეს ფული გადახდილი, არავინ იცის, და მეორეც იყიდა, რომლის მარტო შენახვა ლამის მილიონი ლარი უჯდება თავდაცვის სამინისტროს.

ახლა საჯაროდ დადებული მისი მეორე პირობაც გავიხსენოთ: **შევარდნაძე რომ სამსახურიდან შინ, კრწანისის რეზიდენციისკენ მიდის, მისი კორტეჟის გავლისას გზები იკეტება და ხალხს ხელი ეშლება. მე ასე არ მოვიქცევი, კანცელარიასთან ახლოს ვიქირავებ ჩვეულებრივ ბინას და იქ ვიცხოვრებ, რათა ხალხსა და ბიუჯეტს ზედმეტ ტვირთად არ დავაწვეო.**

სინამდვილეში რა მოხდა?

კონკრეტულად რამდენი ასეული მილიონი ლარი დაჯდა მისი ავლაბრის რეზიდენციის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა, არავინ იცის (ალბათ, მალე ამასაც გავიგებთ), **მაგრამ მისი მარტო ელექტროენერგიით მომარაგება თურმე თვეში ლამის 70 ათასი ლარი რომ ჯდება, ეს ახლახან მთავრობის სხდომაზე ითქვა** (ახლა ამას გიგი უგულავას დიდებულ „სიახლე-ინიციატივასაც“ თუ მივაბამთ, ანუ თითოეული კილოვატისთვის ხუთ თეთრს ნაგავის გადასახადის სახით, მთლად ავშენდებით!).

ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს უფალ პრეზიდენტს, თავისი ჭკუით, უკვე მორგებული რომ ჰქონდა პრემიერ-მინისტრის ჩოხა, ამერიკის ყოფილი საელჩოს შენობაში თავისი ახალი რეზიდენციის მოსამზადებლად უკვე დაუხარჯვინებია ბიუჯეტისთვის რამდენიმე ათეული მილიონი ლარი, **ხომ გამართლდა ამ წერილის რუბრიკა, ანუ ხომ ყოფილა პრეზიდენტი სააკაშვილი ცრუ კაცი?**

მარტო ამ ორი მაგალითითაც ხომ გამართლდა წერილის სათაურიც, ანუ **სააკაშვილი ხომ ყოფილა საქართველოსთვის ძვირფასი კი არა, ძვირფასიანი პრეზიდენტი?**

როდესაც ისიც გახდება ცნობილი, რა გვიჯდებოდა მისი ღრუბელ-ღრუბელ ფრენა, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ!

მანამდე კი ერთსღა ვიტყვი: **მას და მის ნაცმოძრაობას სინდისის ნატამალი მაინც რომ ჰქონდეთ, სულ მცირე, ასე ყინჩად და გამომწვევად არ უნდა იქცეოდნენ და ახალი მთავრობისთვის ყოველ ნაბიჯზე სარმის გამოკვრას არ უნდა ცდილობდნენ!**

მაგრამ, რაკი თავიანთსას არ იშლიან და მაინც ჯიუტად „აწვებიან პირველ ჩვენებას“, მათ გასაგონად ვიტყვი, **ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ „სარმის“ საწინააღმდეგო ისეთი კონტრილეთები იციან, თქვენი მოწონებული, ნაცმოელებო!**

ეს ხომ პირველ ოქტომბერსაც იგრძენით საკუთარ თავზე!

> **და, რაც მთავარია, გაფრთხილდით, თორემ თუ ხალხსაც საბოლოოდ გაუწყდა მოთმინების ძაფი, მერე მისი სამართლიანი რისხვისგან თვით მოქმედი ხელისუფლებაც ვერ დაგიცავთ!**

რუსლან რუსია

◎ ალიან-ჩალიანი

2013 წლის ბიუჯეტის პროექტზე პრეზიდენტს ჯერ ხელი არ მოუწერია

როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძემ განაცხადა, წესით ბიუჯეტის პროექტი საკანონმდებლო ორგანოში გუშინ შევიდა, თუმცა არსებობს გარკვეული პრობლემები, კერძოდ კი, პრეზიდენტს პროექტზე ხელი ამ დრომდე არ მოუწერია.

პარლამენტში ახალი მთავრობის მიერ 2013 წლის ბიუჯეტის პროექტს გუშინ ელოდებოდნენ, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში ჯერ არ შესულა.

აღსანიშნავია, რომ ახალ ბიუჯეტში პრეზიდენტის მომსახურების დაფინანსების ხარჯები მცირდება.

მთავრობამ ბიუჯეტის პროექტი საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის თანხმობით, ანუ მისი ხელმოწერით უნდა წარადგინოს.

80 მილიონი ლარი უკან დაუბრუნდა

ბიძინა ივანიშვილს ბიუჯეტში გადარიცხული 80 მილიონი ლარი უკან დაუბრუნდა, — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

„ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარიცხული ჯარიმა სტიქიის შედეგად დაზარალებულ კახეთის რეგიონს არ მოხმარებია. ის თანხა აღსრულების ეროვნული ბიუროს ქვეანგარიშზე იდო და ბიძინა ივანიშვილს უკან დაუბრუნდა, როგორც უკანონოდ გადახდილი ჯარიმა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

„ნაციონალების“ მოთხოვნა სასაცილოა

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის შეფასებით, პარლამენტის დროებით და საგამოძიებო კომისიებთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნა, სასაცილოა.

„ასეთი ტიპის კომისიებში უმცირესობა იმისთვის არის წარმოდგენილი, რომ ხელისუფლების საქმიანობა შეისწავლოს. ამ შემთხვევაში საინტერესო სიტუაციაა — „ნაციონალური მოძრაობა“ თავის მოქმედებებს შეისწავლის?! გუშინდელი ხელისუფლება წლების განმავლობაში თავის მიერ განხორციელებულ საქმეებს შეისწავლის?! ეს კაზუსია და სასაცილო ფაქტია. ამიტომ იმაზე ამოფარება, რომ ოპოზიცია უნდა იყოს კომისიის ხელმძღვანელი, მიუღებელია“, — განაცხადა საგანელიძემ.

დეპუტატი ჯერ ვერ აკონკრეტებს, თუ როდის შეიქმნება საგამოძიებო კომისია, რომელსაც დეპუტატმა თინა ხიდაშელმა უნდა უხელმძღვანელოს.

„ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს, რომ პარლამენტის დროებით და საგამოძიებო კომისიებს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა უხელმძღვანელონ.

ახალგორი რუსებს განზრახ ჩაბარეს

საძართველოს ყოფილი სავაჭრო ეკონომიკური წარმომადგენელი რუსეთში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლეონარდო დევდარიანი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს ხელისუფლებასა და გენერალ ბორისოვს შორის მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში „ახალგორის განზრახ ჩაბარებაზე“ საუბრობს.



მისი თქმით, ნაცნობების გამოყენებით დაარწმუნა რუსული მხარე, ომის პერიოდში ახალგორის რაიონისი მოროდიორებისგან გაეწმინდათ და იქ მოსახლეობის დასაცავად ქართული პოლიცია შესულიყო.

როგორც დევდარიანი განმარტავს, გენერალ ბორისოვს მის თვალწინ დაურეკა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა მაკაროვმა და ახალგორში რაზმის გაგზავნა უბრძანა.

— გენშტაბის უფროსმა ჩემს თვალწინ უბრძანა ბორისოვს, გაეგზავნა რაზმი ახალგორის რაიონში, გაეწმინდათ მოროდიორებისა და ბანდფორმირებებისგან და კარალეთის ბაზასთან ერთად ქართული პოლიციისთვის დაებრუნებინათ, — აცხადებს დევდარიანი.

მისივე ინფორმაციით, ეს ირაკლი კოდუას აცნობა, თუმცა 15 წუთში მისგან მოულოდნელი პასუხი მიიღო.

— დამირეკა და მითხრა, კარალეთის ბაზის გადმობარებაზე მზად ვართ, მეორე საკითხზე მინდა გელაპარაკოო. უფროსობას მოვახსენე ეს ყველაფერი, იმათ მოახსენეს პირველს და დამირეკეს, გადაითამაშე უკანო...უფროსი სააკაშვილი იყო. კოდუამ გამიმეორა, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს პოლიტიკოსებმაო... რომელმა პოლიტიკოსმა გიბრძანა ასეთი სისულელე-მეთქი, ვღრიალებდი. თარგამაძეზე იყო ლაპარაკი, ადეიშვილზე, მერაბიშვილზე და თავისთავად პრეზიდენტისგან მოდიოდა ბრძანება, — აცხადებს დევდარიანი.

მისივე განმარტებით, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ირაკლი კოდუასთან ვერაფერს გახდა, რომელიც სოდ-თან ერთად თბილისში დაბრუნდა.

ინტერპრესნიუსი

◎ დავა

მაკა ასათიანი „აკა“-ში წილის დაბრუნების მიზნით სამართლებრივ დავას განაგრძობს

მაკა ასათიანი საქართველოში „მერსედეს ბენცისის“ ოფიციალური დისტრიბუტორი კომპანიის „აკა“-ს წილის დაბრუნების მიზნით სამართლებრივ დავას განაგრძობს, იუწყება „ინტერპრესნიუსი“.

როგორც ასათიანის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, საქმის ხელახალი განხილვისთვის მოსამზადებელი სხდომა 7 ნოემბერს არის ჩანიშნული. მაკა ასათიანი უკვე საქართველოში იმყოფება და რამდენიმე დღეში ადვოკატთან ერთად ერთობლივი პრესკონფერენციის მოწვევას და განცხადების გაკეთებას გეგმავს.

ამასთან, გაბუნიას თქმით, მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ პარალელურად რამდენიმე დღის წინ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების თაობაზე მაკა ასათიანის სარჩელი წარმოებაში სტრასბურგის სასამართლომ მიიღო.

„იმის იმედით, რომ საქართველოში სამართლებრივი გარემო გაუმჯობესდება და იმ სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, რომლებიც გვაქვს, მიმაჩნია, რომ მაკა ასათიანი წართმეულ ქონებას მოკლე ხანში დაიბრუნებს“, — აცხადებს დიმიტრი გაბუნია.

მაკა ასათიანის ქონების საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 27 აპრილს მიიღო. შედეგად მაკა ასათიანს „აკა“-ს 20%-იანი წილი ჩამოერთვა და მოსარჩელე დავით ძოწენიძეს გადაეცა.

ამასთან, მაკა ასათიანს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2004 წლიდან მიუღებელი დივიდენდების ანაზღაურება — სულ 859 195, 20 ლარი. დივიდენდების დაანგარიშება განხორციელდა იგივე წესით, რომელიც მითითებული იყო შპს „აკას“ მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სხვათა მაგალითი

ბიძინა ივანიშვილი და „ახალი ჩრდილოური პოლიტიკა“

ვილი ბრანდტი გფრ-ის კანცლერი (1969-74წწ.) და „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ შემომქმედი გახლდათ, რომელმაც, პირდაპირ თუ ირიბად, საფუძველი ჩაუყარა გერმანიის გამთლიანების პროცესს, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. ახალი პოლიტიკური სტრატეგიის შემწეობით კანცლერმა ბრანდტმა მოახერხა ხანგრძლივი იზოლაციისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გაუცხოების გადალახვა, რის შედეგადაც შეძლო, მიეღწია ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის — ე.წ. სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან, უწინარესად გდრ-თან. სწორედ ვილი ბრანდტის ამ კურსს ეწოდა — „ახალი აღმოსავლური პოლიტიკა“. ეს გახლდათ ახალი სტრატეგია, გერმანიის და საერთოევროპული პოლიტიკის მშვიდობიანი განვითარების საქმეში, რისთვისაც მის ავტორს დამსახურებულად მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია! კანცლერ ბრანდტის — „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ მნიშვნელოვანი წვლილიცაა იმ საქმეში , რომ 20 წლის შემდეგ, შეესაძლებელი გახდა „ბერლინის კედელის“ დანგრევა და გერმანიის გაერთიანება.

იმედია, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ, —- „ახალი ჩრდილოური პოლიტიკის“ განხორციელების შემთხვევაში, — საქართველოს გაერთიანებას 4-ჯერ ნაკლები (საქართველოს მასშტაბის გათვალისწინებით — 5 წელი) დრო დაჭირდება!.. დიახ, გერმანიის გაერთიანების ისტორია და ამ პროცესისთვის დამახასიათებელი ეტაპები, საქართველოსთვის წარმოადგენს დიდ ინტერესს, რათა გავითვალისწინოთ და დავეყრდნოთ გერმანულ გამოცდილებას, თუმცა განსხვავება ჩვენსა და გერმანიის მაგალითებს შორის მრავალმხრივია... და მაინც, ვფიქრობ, რომ ბრანდტის „აღმოსავლური პოლიტიკის“ გამოცდილება დიდად სასარგებლო იქნება ივანიშვილისთვის — „ჩრდილოური პოლიტიკის“ შემუშავებისას. მსგავსება ერთია, როგორც გერმანელებისთვის, ისე ქართველებისთვის — მთავარი „მომლაპარაკებელი პარტნიორი“ იყო და არის მოსკოვი...

ბიძინა ივანიშვილს უმძიმესი პოლიტიკური მემკვიდრეობა ერგო წილად წინა ხელისუფლებებისაგან, — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და საქართველო — რუსეთის ურთიერთობების საკითხებთან მიმართებაში .. მოკლედ, დღევანდელი მდგომარეობა ასეთია, — რუსეთმა 4 წლის წინათ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა აღიარა“, რასაც წინ უძღოდა 5-დღიანი ომი რუსეთ-საქართველოს შორის და რომელსაც მოყვა საქართველოს ამ ორი რეგიონის ოკუპაცია და ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა ცხინვალის რეგიონში. რუსეთი მიიჩნევს, რომ მის მიერ (პლიუს კიდევ, გაეროს წევრი 4 სახელმწიფო) აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარებით“ სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა გეოპოლიტიკური „ახალი რეალობა“, რომელიც საქართველომ და საერთაშორისო თანამეგობრობამ „უნდა გაითვალისწინონ“. ამის საპასუხოდ, საქართველომ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა რფ-სთან და მიანიჭა რუსეთს ოკუპანტის სტატუსი, რაც მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გაიზიარა. ამავდროულად, რუსეთის მიერ ლობირებული „ახალი რეალობის“ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, დასავლეთი (ევროკავშირი, აშშ და სხვა) აწარმოებს „არაღიარების“ პოლიტიკას საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ და რუსეთისგან მოითხოვს, რომ მან შეასრულოს სარკოზი-მედვედევის 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება და კონფლიქტური რეგიონებიდან გაიყვანოს რუსული შეიარაღებული დანაყოფები. ევროკავშირის დამკვირვებლების მეშვეობით დასავლეთი აგრეთვე, მონიტორინგს ახდენს კონფლიქტური ზონების გამყოფი საზღვრის პერიმეტრზე.. აი, ორი სიტყვით, თუ რა ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა უნდა შეძლოს პრემიერმა ივანიშვილმა. დიახ, უნდა შეძლოს, ვინაიდან, ვფიქრობ, რომ იგი საქართველოს გამთლიანების ბოლო შანსია!..

საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ და მანამდეც ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ მისი საგარეო პოლიტიკის მიზანი — საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაა. ამასთანავე, მას მიაჩნია, რომ აუცილებელია ურთიერთობების დალაგება რუსეთთან, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, აქ პრიორიტეტს ანიჭებს პირდაპირ დიალოგს აფხაზეთსა და ოსებთან, შემდგომი დაახლოების მიზნით... ივანიშვილის ეს განცხადებები, მცირე განსხვავებით, თანხვედრაში მოდის სააკაშვილის ყოფილი ხელისუფლების პოზიციებთან, რასაც კმაყოფილებით აღნიშნავენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები და ყოფილი „ნაციონალური“ ხელისუფლების მხარდამჭერები. მაგრამ ერთი რამ ავიწყდება ყველას, შინ თუ გარეთ, რომ ამ კურსის „გამეორებას“ (რუსეთთან ომის გამორიცხვით!), მაინცადამაინც შედეგი არ მოაქვს და იზრდება რისკი ჩიხური მდგომარეობის გაღრმავებისა, რაც გამოუვალ, არსებულ დანაწევრებულ მდგომარეობაში დატოვებას უქადის საქართველოს... ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი არ გახდეს მძევალი იმ სტერეოტიპებისა და კლიშეებისა, რომლებიც შეზღუდავენ მას, რათა წარმოადგინოს ახალი, ალტერნატიული სტრატეგია, რომელიც მისაღები იქნება პოლიტიკური პროცესის ყველა მთავარი მონაწილისთვის და სასურველ შედეგს მოუტანს საქართველოს..

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიძინა ივანიშვილი მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე „ახალი“ პოლიტიკური ფიგურაა და მის „პირველ“ პოლიტიკურ გზავნილებს დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც ვაშინგტონში, ისე მოსკოვში და ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქებში — ბრიუსელში, პარიზში და, რაღა თქმა უნდა, ბერლინში..

ამჯერად თავს უფლებას არ მივცემ, რაიმე „მზა რეცეპტი“ შევთავაზო ახალ პრემიერს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ევროპის ცენტრალური სახელმწიფოების — საფრანგეთის, გერმანიის როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის ამ უპირველესი საკითხის დადებითად მოგვარებისთვის ძალზე დაკნინებულია.. არადა, გამომდინარე იქიდან, რომ მოსკოვს საუკეთესო ურთიერთობები აქვს პარიზსა და ბერლინთან (ვაშინგტონისგან განსხვავებით), დარწმუნებული ვარ, თუ უშუალოდ პარიზი და ბერლინი იკისრებენ (არა ევროკავშირის ფორმატში) პოლიტიკურ შუამავლობას მოსკოვთან, მაშინ უცილობლად გამოჩნდება ახალი, იმედისმომცემი შტრიხები, რომლებიც გამოიყვანენ პრობლემის დარეგულირების პროცესს ჩიხური, დახავსებული მდგომარეობიდან, რის შედეგადაც გაჩნდება კომპრომისული პერსპექტივა, რაც საერთო კონსენსუსამდე მიიყვანს ყველა დაინტერესებულ მხარეს... ნათელია, თუ რა გავლენა, ავტორიტეტი აქვთ საფრანგეთსა და გერმანიას მსოფლიოს და ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური განვითარების საქმეში და რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთი მათთან ურთიერთობას.. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოსთვის ფრანგულ-გერმანული წინადადებები და რეკომენდაციები დიდად ნაყოფიერი, რაც მთავარია, შედეგიანი იქნება...

არჩევნების შემდეგ თბილისში ევროკავშირის დელეგაციის სტუმრობისას ბიძინა ივანიშვილმა მიიღო მიწვევა და თავის პირველ ოფიციალურ ვიზიტს პრემიერ-მინისტრის რანგში ევროპაში განახორციელებს. ეს კარგი ნიშანია და მომავალში საქართველოს უპირველესი პრობლემების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ევროპული ინტეგრაციის საკითხების გადაწყვეტა სწორედ ევროპული პოლიტიკის მთავარი ცენტრების — პარიზისა და ბერლინის მეოხებით უნდა მოხდეს, ვინაიდან, დასავლეთში მათ ყველაზე კარგად იციან „მოსკოვის ენა“, ამის თვალსაჩინო ისტორიული მაგალითია გფრ-ის კანცლერის ვილი ბრანდტის „ახალი აღმოსავლური პოლიტიკა“!..

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

P. S. 16ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებიდან ერთი თვის თავზე, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში სპეციალურ წარმომადგენელად ცნობილი დიპლომატი ზურაბ აბაშიძე წარადგინა. ვიმედოვნებ, რომ პრემიერ ივანიშვილის მიერ გადადგმული ეს პირველი ნაბიჯი, დასაწყისი იქნება მისი „ახალი ჩრდილოური პოლიტიკისა“. ხოლო, სპეცწარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე შესძლებს, რომ გახდეს ბიძინა ივანიშვილის მარჯვენა ხელი ამ ურთულეს საქმეში, ისეთივე, როგორიც გერმანიის კანცლერის ვილი ბრანდტისთვის იყო მისი სტატს—მდივანი ეგონ ბარი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ განხორციელებაში.

ჯ. კ.

◎ ალიან-ჩალიანი

სოზარ სუბარი - ყველა პატიმარი, რომელიც კანონს დაარღვევს, მკაცრად დაისჯება

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი ციხეებში შექმნილ ვითარებას ყოფილ ხელისუფლებას უკავშირებს და აცხადებს , რომ დღეიდან ყველა მსჯავრდებული, რომელიც კანონს დაარღვევს, მკაცრად დაისჯება.

— ყველაზე სუსტი წერტილი იყო მკაცრი რეჟიმის დაწესებულებები და სწორედ იქიდან დაიწყო ყოფილმა ხელისუფლებამ ზეწოლები. მათ აქვთ არეულობების გარკვეული ბერკეტები და ამას იყენებენ, თუმცა ყველაფერი აბსოლუტურად ექვემდებარება კონტროლს. ამ დღეებში გამოვლინდა ერთი რამ — მაშინ როცა გარეთ იყო ხმაური და ამტკიცებდნენ, რომ შიგნით სპეცრაზმია შესული და პატიმრებს სცემენ, სინამდვილეში იყო აბსოლუტური სიწყნარე. შიგნით არაფერი ხდება, თუმცა გარეთ ხდება ვითარების შეგნებული დაძაბვა, — განაცხადა სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების სამინისტროში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

მისივე განმარტებით, დღეიდან როგორც მსჯავრდებულების, ისე სასჯელაღსრულების დაწესებულებების გარე პერიმეტრზე მყოფი ადამიანების მიმართ გატარებული იქნება ყველა ის ღონისძიება, რასაც კანონი ითვალისწინებს.

— რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ამ ყველაფერზე მკაცრი რეაგირება არ მოგვეხდინა, თუმცა დღეიდან გატარებული იქნება ყველა ნორმა, რაც კანონშია გაწერილი. უფრო კონკრეტულად, ორთაჭალის 31 დაწესებულებაში გუშინწინ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა საქმე ექვსი მსჯავრდებულის მიმართ, რომლებმაც არეულობის მოწყობა სცადეს. ექვსივე მათგანი იქნება დასჯილი. რაც შეეხება ქსანში კვირას მომხდარ ფაქტს, როცა შეურაცხყოფა მიაყენეს ჯარისკაცს და იყო დაწესებულების ტერიტორიაზე შეჭრის მცდელობა, მოკვლევა ამ საქმეზეც დავიწყეთ და მასალები შსს-ს გადაეცა. თავად პატიმრების მიმართ, რომლებიც ამ ინციდენტში ფიგურირებდნენ, ამ ეტაპზე არანაირი ღონისძიება არ იქნება გატარებული იქიდან გამომდინარე, რომ მათი მხრიდან რაიმე სერიოზული დარღვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა დღეიდან ნებისმიერი პატიმრის მიმართ, რომელიც არ დაემორჩილება კანონს, იქნება მკაცრი ზომები გატარებული, მათ შორის დაისჯება ყველა ის ადამიანიც, რომელიც იგივეს გამეორებას გარეთ ეცდება, —აღნიშნა მინისტრმა.

— ჩვენ გაცილებით ბევრი ინფორმაცია გვაქვს, ვიდრე ვლადიმერ ბედუკაძე თავის წერილში საუბრობს — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე განმარტებით, მიუხედავად ამისა, ბედუკაძის ინფორმაცია საყურადღებოა და ის მუშავდება.

— ბედუკაძის ინფორმაცია წავიკითხე, იქ არის ბევრი საყურადღებო რამ, თუმცა ჩვენ გაცილებით მეტი ინფორმაცია გვაქვს, ვიდრე მის წერილშია საუბარი. ასე რომ, ეს ინფორმაციები კონტროლდება, მუშავდება და თუკი საჭიროება იარსებებს, მოხდება მისი განხილვა სხვა უწყებებთან ერთად. არანაირი საშიშროება არ არსებობს. გვაქვს ინფორმაცია, კიდევ სად შეიძლება დაიწყოს არეულობების მცდელობა, თუმცა ეს არ არის სახიფათო, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

ამასთან, მან კომენტარი გააკეთა „ნიუ ჰოსპიტალსთან“ დაკავშირებითაც. მისი განმარტებით, ამ კომპანიასთან ხელშეკრულება არ გაწყდება, თუმცა თავის მხრივ, სამინისტრომ იქ მომუშავე მედპერსონალს პირობა მისცა, რომ პატიმარი მათ შეურაცხყოფას ველარ გაბედავს.

„ნიუ ჰოსპიტალსი“ არ არის ერთადერთი კლინიკა, რომელთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ. ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს დადებული ბევრ სხვა სამედიცინო დაწესებულებასთანაც, თუმცა ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობა სწორედ ამ კლინიკასთან გვაქვს და ყველაზე მეტი პატიმარი იქ გადადიოდა, რადგან პირობები იყო ძალიან კარგი. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, შევთანხმდით, რომ ხელშეკრულება არ გაწყდება. ისინი აგრძელებენ მუშაობას, თუმცა ჩვენის მხრივ პირობა მივეცით, რომ ვერც ერთი პატიმარი ველარ გაბედავს ექიმს შეურაცხყოფა მიაყენოს. ვინც გაბედავს, მას სასჯელი დაემატება. თუ საჭირო იქნება ძალის გამოყენება, ძალაც იქნება გამოყენებული, — აღნიშნა მინისტრმა.

პატიმართა სურვილის მიხედვით თანამდებობის პირთა გათავისუფლება არ მოხდება

დაუშვებელია ადამიანების თანამდებობიდან გათავისუფლება იმიტომ, რომ ის ვინმეს არ მოსწონს, — ამის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაია ხასიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, ყველა ინფორმაციის მოკვლევა მოხდება, თუმცა მსჯავრდებულთა სურვილის მიხედვით, თანამდებობის პირთა გათავისუფლება დაუშვებელია და არ მოხდება.

ამასთან, ხასიას ინფორმაციით, დილის მდგომარეობით ქსნის მე-15 დაწესებულებაში სიტუაცია აბსოლუტურად სტაბილური იყო.

— დილით იყო ასეთი ფაქტი, რომ დაწესებულებაში გარეთ მყოფი ადამიანები არ უშვებდნენ კვების პროდუქტით დატვირთულ მანქანას. იქ 3 400 მსჯავრდებული იმყოფება, შესაძლოა, ვინმეს ჯანმრთელობის მდგომარეობა იყოს რთული, არ შეიძლება მასთან მისასვლელი გზა გადაკეტო, კარგია, თუ ამას გაითვალისწინებენ, — განმარტა ხასიამ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ზუგდიდი

1. ჯიხაშკარელები ვერაფრით ეგუებიან თავიანთ სოფელში როლანდ ახალაიას გამარჯვებას

ზუგდიდის რაიონის სოფელი ჯიხაშკარი ეროვნული მოძრაობის პერიოდში ერთ-ერთი მთავარი ეპიცენტრი იყო. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს პირველი პრეზიდენტ ზვიადის მხარდამჭერი იყო და ამ სოფელში, ვალიკო ზარანდიას ეზოში, 45 დღე იყო დაკრძალული პრეზიდენტი. ამ სოფლის მკვიდრს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ წარმომადგენელს და საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ირაკლი ალასანიას ნდობით აღჭურვილ პირს ბაბუშ ჩუხუას და მის თანამებრძოლებს დღემდე უკვირთ, თუ როგორ გაიმარჯვა მათ სოფელში როლანდ ახალაიამ, მაშინ როდესაც თითქმის ყველანი ირაკლი ალასანიას მხარდამჭერნი იყვნენ, ამიტომაც ვერაფრით ვერ ეგუებიან ამ ფაქტს. „თუ რა მოხდა ჯიხაშკარში ჩემთვის არჩევნების შემდეგ თანდათან გახდა ცნობილი. ირაკლი ალასანიას სოფელ ჯიხაშკარში ხალხმრავალი, ბრწყინვალე შეხვედრა ჰქონდა. პირველი პრეზიდენტის ყოფილი საფლავიც მოინახულა. მათ ჯიხაშკარში ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. ამ შეხვედრის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ზონდერებს არ მოუსვენიათ. ახალაიები, მეგის ქარდავა და სხვები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ირაკლი ალასანიას ჯიხაშკარში არ გაემარჯვა, ამიტომაც იყო ამის მხრიდან დაშინება, მუქარა, სახლში უვარდებოდნენ ჯიხაშკარელებს და მათზე ზეწოლას ახდენდნენ, იყო ფულით მოსყიდვის ფაქტებიც. ეს აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული“, — აცხადებს ბაბუშ ჩუხუა.

ბაბუშ ჩუხუას განმარტებით ეს დამარცხება ჯიხაშკარში და საერთოდ ზუგდიდში განაპირობა ასევე „ქართული ოცნების“ ზუგდიდის შტაბში „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლების მრავლად ყოფნამ. „ქართული ოცნების“ ზუგდიდის შტაბის ზოგიერთი წარმომადგენელი პირდაპირ იყო შეკრული „ნაციონალებთან“ და თუ სასამართლო პროცესი შედგა, სახალხოდ დავასახელებ მათ ვინაობას თუ ვინ ღალატობდა „ქართულ ოცნებას“, — აღნიშნა ბაბუშ ჩუხუამ.

სოფელ ჯიხაშკარში დღემდე მიმდინარეობს დაპირისპირება „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ მხარდამჭერებს შორის. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მიმართ გადასული არიან შურისძიებაზე, არის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხოფის შემთხვევები და ეს რომ მაშტაბურ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს, აუცილებლად მისაღებია საჭირო ზომები“ — განაცხადა ბაბუშ ჩუხუამ.

2. „არც ერთ რაიონში არ არის სკოლები ისე გაპოლიტიკურებული, როგორც ზუგდიდის რაიონში“

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სისტემაში ჩატარებულმა ცრუ რეფორმებმა შედეგად მოგვცა მოშლილი და დეზორიენტირებული უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, არადა „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფალნი თავს იწონებდნენ განათლების სისტემაში გატარებული ე.წ წარმატებული რეფორმით, თუმცა არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ რეფორმის წარმატება-წარუმატებლობის კრიტერიუმი შედეგია და არა მეთოდი. ამ საკითხთან დაკავშირებით — ზუგდიდის საგანმანათლებლო სისტემაში შექმნილ ვითარებაზე თავის მოსაზრებას გვიზიარებს, განათლების ექსპერტი, სკოლათმცოდნე ბონერ პაპავა, რომელიც 13 წელი ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ კერძო სკოლას და დამოუკიდებელი აზრისა და უსამართლობის წინააღმდეგ აქტიურად ბრძოლის გამო 2011 წელს ეს საყოველთაოდ აღიარებული სკოლა დაუხურეს.

— ბ-ნო ბონერ, რა აუცილებელი ცვლილებებია ჩასატარებელი განათლების სისტემაში?

— განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბატონ გიორგი მარგველაშვილს უმძიმესი გამოცდის ჩაბარება უწევს, რადგან სკოლები გადაკეთებულია „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ორგანიზაციად, სადაც ყველაფერი ხდება გარდა სწავლისა და აღზრდისა. სკოლების დეპოლიტიზება ერთჯერადი აქტი არ არის, ხანგრძლივი პროცესია. ზუგდიდის მაგალითზე ყველა სკოლის დირექცია და პედაგოგების 90%-ზე მეტი ახალაიების კლანის გამტარებელი იყო და ახლაც არიან. როგორ გინდა მათი განთავისუფლება პოლიტიკური მარწუხებისაგან. ჩემი აზრით, ამ პროცესს დააჩქარებს სწორად შერჩეული კადრები, რაც არ არის იოლი საქმე. ეჭვს ბადებს ის პროცესი, რომ ზუგდიდში ყოფილი ხელისუფლების პერიოდში განათლების სფეროს მაღალჩინოსნებს დაწყებული აქვთ აქტიურობა, დაარწმუნონ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები მათ გულწრფელობაში, რათა დაიკავონ რესურსცენტრის უფროსისა და ცენტრალური სკოლების დირექტორთა თანამდებობები. კადრები სწორად შეირჩევა თუ ბატონი მინისტრი შექმნის ისეთ გუნდს, რომელშიც იქნებიან რეგიონების ან რაიონების პრობლემების ზედმიწევნით მცოდნენი, რადგან განათლების რეფორმას მარტო განათლების სამინისტრო და თბილისის სკოლები არ ახორციელებდნენ, არამედ რეფორმაც ძირითადად სოფლის, რაიონებისა და რეგიონების პედაგოგები და სკოლის დირექცია ახორციელებდა, სამინისტრო კი მონიტორინგს უწევდა.“

— გავრცელებული ვერსიით ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობა, თურმე ისევ აზა ჯოჯუას სურს, რამდენად შეესაბამება ყოველივე სიმართლეს ?

— მართალი ბრძანდებით, ასეთი მოსაზრება არსებობს. აზა ჯოჯუა კახა ლომაიას კადრი იყო და რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, შემდეგ ის დიმიტრი შაშკინმა გაანთავისუფლა, ახლა აზა ჯოჯუა ცდილობს, თავი შეაცოდოს „ქართულ ოცნებას“, რომ ის უსამართლოდ გაანთავისუფლეს, სამწუხარო ის არის რომ აზა ჯოჯუასნაირი პიროვნებები ცდილობენ ისევ შემოღწევას და თანამდებობისათვის ბრძოლას, არადა ახალმა ხელისუფლებამ ასეთი პიროვნებები ახლოსაც არ უნდა გაიკაროს.“

— თქვენი აზრით, პირველ რიგში რა არის გასაკეთებელი საგანმანათლებლო სისტემაში?

— ჩემი აზრით, პირველ ეტაპზე შესასრულებელია შემდეგი რამ: გასაუქმებელია სკოლის სამეურვეო საბჭოები, რომლებსაც პროკურატურაზე და პოლიციაზე არანაკლები როლი აქვთ შესრულებული განსხვავაებული აზრის მქონე და პროფესიონალი პედაგოგების უკანონოდ დათხოვნაში. ისინი წარმოადგენდნენ სკოლის დირექციის, რესურსცენტრების წაგრძელებულ ხელებს პოლიტიკურად არასანდო პედაგოგების დასასჯელად. მარტო ზუგდიდის ნომერ პირველი საჯარო სკოლიდან 26 პედაგოგია დათხოვილი სამეურვეო საბჭოს, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის, ახალაიების ოჯახის წევრისა და მეგის ქარდავას სიდედრის ლალი შანავასა და სკოლის ყოფილი დირექტორის თამაზ თორდიას მიერ.

უნდა მოაშორონ სკოლებს მანდატურები, რომლებიც ინიშნებოდნენ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების ნათესაური კავშირების მიხედვით. ზუგდიდის მაგალითზე ასე ხდებოდა. საქართველოში მანდატურების სამსახურს ხელმძღვანელობდა მეგის ქარდავას ძმა — ლევან ქარდავა. ზუგდიდიში კი მაგათი ბიძაშვილი. ჩემი აზრით, მანდატურების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ გამოდგება სკოლის გარე პერიმეტრში უსაფრთხოების დასაცავად.

უპირობოდ უნდა აღადგინონ ყველა უკანონოდ დათხოვნილი პედაგოგი, რომლებიც ამას ელოდებიან. ისინი აქტიურად, უშიშრად იყვნენ ჩართული ნაციონალების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში. ასევე უნდა დაითხოვონ სკოლის ის დირექტორები, რომლებთაც უკანონოდ ჰყავდათ ერთი პედაგოგი მაინც დათხოვნილი. დირექტორების დათხოვნა უმტკივნეულოდ მოხდება, რადგან მათ არჩევის ვადა დაუმთავრდათ, ავტომატურად გადადიან მოვალეობის შესრულების რეჟიმში და მათი ჩანაცვლება სხვა კადრებით სამართლებრივი კანონითაა შესაძლებელი. სკოლის დირექტორი ადგილზე უნდა მოიძებნოს, გამონაკლისის გარდა.

რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, უნდა ჩატარდეს, ამასთან კარგი იქნება, გარკვეული სახით თუნდაც არჩევითი საგნის სახით სკოლაში ისწავლებოდეს ზოგადი უნარები, თუ არადა წინააღმდეგობაში მოვდივართ, კერძოდ ზოგადი უნარები ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ შედის, არ ითვლება სასწავლო დისციპლინად, არც სახელმძღვანელოები არსებობს. ეროვნულ გამოცდებზე კი მთავარი კომპონენტია.

— ბ-ნო გონერ, თქვენი აზრით, როგორია პედაგოგების პროფესიონალიზმის დონე რეგიონებში?

— არცთუ სახარბიელოა, აუცილებლად უნდა ამაღლდეს პედაგოგების პროფესიონალიზმი, დაიხვეწოს სწავლის ფორმები და მეთოდები, შეიცვალოს სახელმძღვანელოები, გაუქმდეს პედაგოგების სასერტიფიკაციო გამოცდები, რადგან არც ერთი პედაგოგი, არ ატარებს გაკვეთილებს სასერტიფიკაციო გამოცდებზე, უკვე ჩაბარებული სწავლების ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, მით უმეტეს წინასწარ დაწერილი გეგმის მიხედვით. უკიდურეს შემთხვევაში დაიხვეწოს სასერტიფიკაციო გამოცდების ფორმა, დაბოლოს მართალია ეროვნული სასწავლო გეგმა მთელი საქართველოს სკოლებისათვის ერთი და იგივეა, მაგრამ სპეციფიკურია რეგიონები.

— გიორგი მარგველაშვილმა სკოლის დირექტორებს მიმართა პოლიტიკური მოთხოვნით დათხოვნილი პედაგოგების მშვიდობიანი გზით აღდგენის თაობაზე. თქვენი აზრით, რამდენადაა ეს შესაძლებელი ?

— ვფიქრობ, ზუგდიდის სკოლების მაგალითზე ბატონ გიორგი მარგველაშვილს მკაცრი ზომების გატარება მოუწევს სკოლის დირექტორების მიმართ, რადგან არც ერთ რაიონში არ არის სკოლები ისე გაპოლიტიკურებული, როგორც ეს ზუგდიდის რაიონშია. ახალაიებისა და ქარდავების კლანი დღემდე მართავს საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და ყველა ტიპის სკოლას. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საუკუნოვანი მდიდარი ტრადიციების მქონე №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებიდან მსოფლიო დონის მათემატიკოსს თვით ილია ვეკუასაც არ ღირსებია ის საგამოფენო სტენდი, რომელიც ამ სკოლის დირექციამ წინასაარჩევნოდ მოუწყო დათა ახალაიას, რომ არაფერი ვთქვათ ახალაიების მხარდამჭერ იმ წინასაარჩევნო მოწოდებებზე, რომელსაც მუდმივად აწარმოებდა ამ სკოლის დირექცია სკოლის სოციალურ გვერდზე. ზუგდიდის სკოლების დირექტორებს და მასწავლებლების ნაწილს წინასაარჩევნო მხარდაჭერა დაუფასდაო, როლანდ ახალაიამ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ღირსების ორდენები გადასცა მათ და სამწუხაროა, რომ მათ ეს ჯილდოები საგანმანათლებლო საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის არ მიუღიათ, ამაზე მეტი პოლიტიზება რა უნდა იყოს.“

ლადო ძირია,
ზუგდიდი

◎ ალიან-ჩალიანი

თბილისის მერია თავის გასაკეთებელ საქმეს თავს არიდებს

ფინანსთა და ჯანდაცვის სამინისტროები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, რომელიც თბილისის მერიის სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ბოლო დღეების განმავლობაში აქტუალური გახდა თბილისის მერიის სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნულ პროგრამებში მონაწილე 600 000-მდე თბილისელის ბედი. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, მოქალაქეების სრულად ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნევს დამატებითი განცხადების გავრცელებას და კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ თბილისელებისთვის სამი მნიშვნელოვანი პროგრამის: ტრანსპორტის, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის შეჩერებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას, უშუალოდ კი ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ვანო მერაბიშვილს და დედაქალაქის მერიას ეკისრებათ. — 19 ოქტომბერს ყოფილმა პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც თბილისის ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამებისათვის გასაწევი ხარჯები, საბიუჯეტო კანონმდებლობის სრული დარღვევით, პარლამენტთან შეთანხმების გარეშე, სახელმწიფო ბიუჯეტს გადასცა, რითაც 2012 წელს 25 მილიონი, ხოლო მომავალ წელს 78 მილიონი ლარი, დამატებითი ვალდებულება დააკისრა.

თბილისში სეზონური ვირუსული გრიპების შემთხვევებმა იმატა

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, სეზონის ცვლილებასთან და აცივებასთან დაკავშირებით მოსახლეობაში ვირუსული გრიპების შემთხვევებმა მოიმატა, თუმცა შარშანდელ მაჩვენებლებს არ გასცდენია.

სეზონური გრიპის გამო, მიმართვიანობა გაიზარდა სასწრაფო სამედიცინო ცენტრსა და საავადმყოფოებში. კლინიკებში, ძირითადად, მცირეწლოვანი ბავშვები მიჰყავთ, რომელთაც გრიპისთვის დამახასიათებელი სიმპტომები აქვთ. მედიკოსები მოსახლეობას ჰიგიენის წესების დაცვისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

მათი განცხადებით, გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მაღალი ტემპერატურისა და თავის ტკივილის შემთხვევაში, პაციენტმა ექიმს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მამულიშვილი, მეცნიერი

დღეს, 6 ნოემბერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში შედგება საიუბილეო სხდომა, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავისადმი. დასაწყისი 16 საათზე.

ამაგდარი ქალბატონი...

მარიამ ლორთქიფანიძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიერ წმინდა გიორგის ორდენის კავალერის ღირსებამდე ამაღლებული, ქართველი ხალხის სიყვარულით გამთბარ-გასისხლხორცებული, დღეს მილოცვებს ღებულობს... ეს მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით დაიმსახურა.

ძნელია პატარა წერილში შეაფასო იუბილარის დიდნი საქმენი, ღირსეული ცხოვრება, საისტორიო ფოლიანტებთან გატარებული თვეები და წლები, მაგრამ ფაქტია: აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ქართველ ისტორიკოსთა იმ სკოლის წარმომადგენელია, რომელსაც საფუძველი დაუდო ივანე ჯავახიშვილმა, განავითარეს სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა და ამ სკოლის პრინციპებისთვის არ უღალატია არც ერთი დღე, არც ერთი საათი.

მარიამ ლორთქიფანიძეს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის, ბევრი მათგანი მნიშვნელოვანი და გამორჩეული მონოგრაფიაა. ამ ნაშრომებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში

არ შეიძლება არ აღინიშნოს აკად. მარიამ ლორთქიფანიძის პრინციპული საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი პოზიციაც — ის მუდამ იყო და არის დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის ღირსების დაცვის სადარაჯოზე და ამ საქმეში მას ფანატიკოსთა „ღრიალი და კბილთა ღრჭენანიც“ ახსოვს, აღფრთოვანებული თანამემამულეების შეძახილებიც. ბოლო წლებშიც — როცა ასე უაპელაციოდ დაჩაგრეს და განადგურებამდე მიიყვანეს ქართული მეცნიერება, მისი უმნიშვნელოვანესი ციტადელი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკად. მარიამ ლორთქიფანიძე თავის პუბლიცისტურ წერილებსა და ინტერვიუებში იცავდა და იცავს ქართულ მეცნიერებას, განსაკუთრებით საისტორიო მეცნიერებას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ქართველი კაცის ღირსებას.

დღეს, ამ საიუბილეო დღეებში ქართველი ისტორიკოსები გულით ვულოცავთ ამაგდარ ქალბატონს, მშვენიერ მანდილოსანს, ღირსეულ მოქალაქეს, პიროვნებას, მეცნიერს, ადამიანს, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა და კიდევ ბევრს გააკეთებს თავისი სამშობლოსათვის — მრავალტანჯული საქართველო რომ ჰქვია.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა სახელით

მიხეილ სამსონაძე,
პროფესორი,
ალექსანდრე დაუშვილი
პროფესორი

— — — — — — — — — — — — — — — — — — — —

ექსპრომტად ძვირფას იუბილარს, ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს

თქვენზე ფიქრში საკადრისი ძლივს მოვძებნე
და საჯაროდ გამოტანას ვბედავ;
კიდევ დიდხანს იცოცხლეთ და იშრომგრძელეთ,
სათაყვანო საქართველოს დედავ!

თამაზ ეგანოიძე.
5.XI.2012 წ.

◎ ეს ღარიბი ქვეყნის მოთხოვნაა!

ნაცმოძრაობის უწყებები საბიუჯეტო სეკვესტრში მოჰყვა

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 8 მილიარდზე მეტია. ფინანსთა სამინისტრომ დაჩქარებული ტემპით იმუშავა და გადამუშავებული ბიუჯეტი კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოაქცია.

„კონსოლიდირებული მუშაობით მოვახერხეთ და ისეთი ბიუჯეტი შევიმუშავეთ, რომელშიც გათვალისწინებულია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები, რომელიც 2013 წლიდან ამოქმედდება. ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემცირებები არ იგეგმება, ასევე არ შემცირდება ხელფასები, უბრალოდ, აღარ განვახორციელებთ იმ პროექტებს, რომლის საჭიროებაც არ არსებობს, მაგალითად, მეზ-ების მშენებლობა. თუმცა მიმდინარე პროექტები, მათ შორის, საბაჟოების რეაბილიტაცია დასრულდება“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 2013 წელს თავად ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტი 10%-ით შემცირდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბიუჯეტში „სხვა ხარჯები“ აღარ იქნება. გაიწერება მხოლოდ „სხვა ხარჯების“ დამატებები და დეტალურად იქნება გაწერილი რაში დაიხარჯება ეს. აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან მოყოლებული „სხვა ხარჯები“ მუდმივად იზრდებოდა და შარშან მილიარდსაც გადააჭარა. საზოგადოებისთვის კი უცნობი იყო, თუ რას მოიცავდა კონკრეტულად ეს ხარჯები.

წლევანდელის მსგავსად ყველზე დიდი ბიუჯეტი ჯანდაცვის სექტორს ექნება. ეს უპირველესად გამოწვეულია საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებისა და პენსიების ზრდით.

განათლების ბიუჯეტი კი შემცირების ნაცვლად, გაიზრდება.

მინისტრის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მისი მიზანია, რაც შეიძლება, მეტი თანხები მიმართოს სტუდენტების დაფინანსებისკენ.

„ჩვენი მიზანია სტუდენტების დაფინანსება გავაორმაგოთ და რაც შეიძლება, მეტი ფული მივმართოთ უნივერსიტეტებისკენ“, — აღნიშნა მარგველაშვილმა.

ყველას აინტერესებს, იგეგმება თუ არა სწავლის გადასახადის ზრდა. მარგველაშვილის თქმით, სწავლის საფასურს განათლების სამინისტრო არ ზრდის და ამას თავად უმაღლესი სასწავლებლები აკეთებდნენ.

რაც შეეხება საშუალო სკოლებში სწავლების ბრიტანული მოდელის ამოქმედებას, რომლის თანახმადაც, საშუალო სკოლებში სწავლა, შესაძლოა, 10-წლიანი გახდეს და ბოლო ორი წელი უნივერსიტეტისთვის მოსამზადებელი ეტაპი დაწესდეს, თუმცა ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

ბიუჯეტში მუხლობრივი შემცირებებიც საკმაოდ იქნება. მაგალითად, საგაისოდ თბილისის მერიისთვის 100 მილიონი ლარით ნაკლები არის გათვალისწინებული. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 445 მილიონი ლარის ტრანსფერს ითვალისწინებს ცენტრალური ბიუჯეტიდან თბილისის ადგილობრივ ბიუჯეტში. ეს ყველაზე დიდი ტრანსფერია, რაც კი ცენტრალური ბიუჯეტიდან დედაქალაქისკენ განხორციელებულა.

„მკვეთრად შევამცირებთ ქალაქის ტრანსფერს და მიზეზი ამის გახლავთ ის, რომ თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა ძალიან ხშირად გაურკვეველი პროექტები — ფესტივალები, კონცერტები“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც მაშინვე დაეთანხმა ქვეყნის ფინანსთა მინისტრი.

2013 წელს მწირი ბიუჯეტი ექნება უშიშროების საბჭოსაც. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, უშიშროების საბჭოს მდივანი თავისი უწყების დასაფინანსებლად 30 მლნ ლარს ითხოვს, რაც საკმაოდ მაღალია.

„მსგავსი უფლებები და მოვალეობები აქვს ზაქარეიშვილის უწყებასაც და ამ უწყების დაფინანსება 1 მილიონ 300 ათას ლარს შეადგენს. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში უშიშროების საბჭოს დაფინანსება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ცუდი დღე ელის „პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც. პრემიერმა დაუფარავად განაცხადა, რომ მთავრობა აღარ გამოყოფს სახსრებს, რომელიც მხოლოდ ერთი პირის ფუფუნებას ემსახურებოდა.

„ამდენი დევნილის, ამდენი გაჭირვებულის პირობებში, მიმაჩნია, რომ ამორალურია ასეთ სასახლეში ცხოვრება“, — ხელი პრეზიდენტის სასახლისკენ გაიშვირა ივანიშვილმა და დასძინა, რომ საკაშვილის ადმინისტრაცია წელიწადში 800 000 ლარს მხოლოდ ელექტროენერგიის გადასახადზე ფლანგავს.

ეკა ბაძრაძე

◎ ერთ ჭრილში?..

პაატა დავითაია პაატა ზაქარეიშვილის წინააღმდეგ

პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაია პარლამენტს მიმართავს, იმსჯელონ, ნიშნავს თუ არა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პასპორტების აღიარება დამოუკიდებლობის აღიარებას.

— ბოლო ხანს მედიაში ვრცელდება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებები, თითქოს მიმდინარეობს მთავრობის მიერ განხილვა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის საკითხის აღდგენის შესახებ. ყველაზე საშინელება, რაც კი განიხილება, ეს არის ის, რომ საქართველოს მხარემ ცალმხრივად აღიაროს აფხაზური და ოსური პასპორტები. აფხაზური და ოსური პასპორტების აღიარება ეს არის დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასი, რადგან პასპორტი არის სახელმწიფოებრიობის სიმბოლო, — განაცხადა პაატა დავითაიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

დავითაია ასევე, კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის გახსნას იმ ქვეყანასთან, რომელიც არ ცნობს ქართულ სახელმწიფოებრიობას, ასევე იმ ადამიანებთან, რომლებმაც ქვეყნის ოკუპაცია განახორციელეს. როგორც დავითაიამ განაცხადა, ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ მოხდეს.

— მივმართავ საქართველოს პარლამენტს, უმრავლესობას, უმცირესობას, გახდეს ეს მსჯელობის საგანი, არის თუ არა პასპორტის აღიარება დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასი, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

მისივე თქმით, თავის მხრივ ის ყველაფერს გააკეთებს, საქმის კურსში ჩააყენებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, აშშ-ის საელჩოს.

როგორც დავითაიამ აღნიშნა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა ნეიტრალური პასპორტები და აფხაზური და ოსური პასპორტების აღიარება ნეიტრალური პასპორტების გაუქმებას ნიშნავს.

რაც შეეხება რკინიგზის აღდგენას, დავითაიას განცხადებით, სარკინიგზო მიმოსვლა არ აღდგება.

— არ აღდგება იმიტომ, რომ სხვებისგან განსხვავებით, ანქვაბს აქვს პრინციპული პოზიცია ამასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთ ჭრილში მოხდება საქართველოსთან ურთიერთობა. ეს არის ის, თუ საქართველო აღიარებს დამოუკიდებლობას, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

2 ნოემბერს რუსულმა გამოცემა „კომერსანტმა“ გაავრცელა ინტერვიუ პაატა ზაქარეიშვილთან, სადაც ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ უნდა აღდგეს სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთთან აფხაზეთის გავლით.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC!

პრეზიდენტი ქუთაისში, მთავრობა ავლაბარში!

მარინა მუსხელიშვილი – ახალმა ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ წინამორბედისგან განსხვავებით საზოგადოებასთან დიალოგი და პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია

გახშირებული საპროტესტო აქციების მიზეზებზე, მათზე წინა ხელისუფლების, საზოგადოების რეაქციასა და იმაზე, თუ რამდენად მზადაა ქართველი საზოგადოება ახალ ხელისუფლებასთან დიალოგით მოაგვაროს დაგროვილი პრობლემები, **„ინტერპრესნიუსი“** სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ხელმძღვანელს **მარინა მუსხელიშვილს** ესაუბრა.

— ძალბატონო მარინა, როგორც კი ახალმა მთავრობამ ძველისგან ხელისუფლება გადაიბარა, „დემოკრატიის შუქურად“ “ მიჩნეულ ქვეყანაში ყველამ ერთბაშად მოისურვა შელახული უფლებების დაცვა. რკინიგზელები, მაღაროელები, ფოთის ნავსადგურისა და „თელასის“ მუშები გაიფიცნენ, დევნილებმა და სოციალურად დაუცველებმა შენობები დაიკავეს, არ ცხრება ციხეებში ვნებათაღელვა, წინა ხელისუფლების მიერ შევიწროებული ბიზნესმენები სამშობლოში დაბრუნდნენ, წარმომეული საკუთრების დაბრუნებაზე ზრუნვა დაიწყეს და ორგანიზაცია „დააბრუნეც“ კი შექმნეს. ხშირად გაიგებთ მტკიცებას, რომ ბევრი რამ, რაც ხდება, ძველი ხელისუფლების ორგანიზებულია. თქვენი აზრით, რა ხდება? რამ გამოიწვია საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის ერთდროული და მასობრივი პროტესტი?

— საზოგადოებამ ერთბაშად იგრძნო თავისუფლება და შიშის შეგრძნება მოეხსნა. ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში თავის ინტერესებს ვერ იცავდნენ, ვინაიდან რეპრესიების ეშინოდათ, დღეს ენდობიან ხელისუფლებას იმაში, რომ მათ პროტესტს მათივე მდგომარეობის გაუარესება არ მოჰყვება და პოლიციის ძალით ისინი არ დაისჯებიან და არ დაიშლებიან. ამიტომაცაა, რომ მათ ერთბაშად სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მიზეზების გამო დაიწყეს თავისი უფლებების დაცვა. მათ არ აქვთ იმის დრო, დაელოდონ სანამ ხელისუფლება დალაგდება, სრულად ამოქმედდება და დაპირებების შესრულებას დაიწყებს. მათ ეჩქარებათ, რომ მათი პრობლემები ხელისუფლების არეალში რაც შეიძლება მალე მოხვდეს და მოექცეს.

— გასაგებია, რომ შიშის გამო ხალხი ხელისუფლების ცვლილებამდე პროტესტს არ გამოხატავდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამართლიანი პროტესტი ახალი ხელისუფლებისთვის სერიოზული გამოწვევაა. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან ურთიერთობაში ძალადობის გზას არ აირჩევენ, რაც კარგია, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად მზადაა თავად ქართული საზოგადოება ხელისუფლებასთან ცივილიზებული დიალოგის რეჟიმში პრობლემათა გადაწყვეტისთვის?

— სინამდვილეში, ეს ადამიანები ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმს კი არ ახორციელებენ, არამედ პირიქით, ცდილობენ თავისი პრობლემები მოაგვარონ ხელისუფლების ჩარევის გარეშე. ისინი ხელისუფლებასთან მიმართებაში ლოდინის რეჟიმში არ არიან და არ ელოდებიან, რომ ხელისუფლება გადაჭრის მათ პრობლემებს, პირიქით, მათ უნდათ, რომ თავად მოაგვარონ თავისი პრობლემები, თავის დამქირავებლებთან, უნივერსიტეტებთან, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან. პროტესტანტებს საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლების მხარდაჭერისა და ნდობის იმედი ნამდვილად აქვთ. სინამდვილეში, ისინი ახორციელებენ ზეწოლას არა ხელისუფლებაზე, არამედ კერძო ბიზნესის მფლობელებზე.

— დრომ აჩვენა, რომ ჩვენს საზოგადოებას აშკარად აკლია არჩევნების გზით პოლიტიკურ ბრძოლაში „გამარჯვებისა“ და „დამარცხების“ კულტურა და ცხოვრებისგან ამ გაკვეთილებს მხოლოდ ახლა ითვისებს. თქვენ როგორ შეაფასებდით ახალ რეალობაში როგორც არჩევნებში გამარჯვებულთა, ისე დამარცხებულთა და ამ პროცესის შემყურე საზოგადოების დამოკიდებულებას?

— საზოგადოება, რასაკვირველია, გარკვეულწილად შეშფოთებულია და ეშინია, რომ ეს პროტესტები არის გამოვლინება საბოტაჟის, რომელსაც წინა ხელისუფლება ახორციელებს. ჩემი აზრით, ამ ხედვას ჯერჯერობით, არანაირი გამართლება არ უჩანს. ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სულ ცოტა ხანში, ახალმა ხელისუფლებამ დაარბია გარემოვაჭრეთა აქცია და ამით დაიწყო დაპირისპირება ქართულ საზოგადოებასთან და ამ საზოგადოების ინტერესებთან.

ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებასთან დაპირისპირების წინა ხელისუფლების გამოცდილება არ უნდა გაიმეოროს. არსებული პროტესტები ამ ხელისუფლებისთვის ლაკმუსის ტესტია — დადგება ის ხალხის გვერდზე თუ წინა ხელისუფლების მსგავსად დაუპირისპირდება მათ. თუ იგი წინა ხელისუფლების შეცდომებს გაიმეორებს, ხალხის ნდობას დაკარგავს და ხალხის პრობლემების გადაჭრაში უძლური აღმოჩნდება. ამიტომ, მოსახლეობას ნდობით უნდა მოვეკიდოთ, რომ მათი სამართლიანი მოთხოვნები, რომელიც მოსახლეობას აქვს, რაც შეიძლება მალე დაკმაყოფილდეს.

რასაკვირველია, დამარცხებული პარტია მაქსიმალურად ეცდება, დაბრკოლებები შეუქმნას ახალ ხელისუფლებას იმ იმედით, რომ მისი რეიტინგი დაეცემა და შემდეგ არჩევნებში გამარჯვებისთვის ნიადაგი მოამზადოს. ახალმა ხელისუფლებამ მოსახლეობას უნდა აჩვენოს, რომ მას წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით საზოგადოებასთან დიალოგი და მათი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლია. პოლიტიკური ბრძოლა არ დამთავრებულა და არც არასოდეს დამთავრდება. ის, ვინც უკეთესად შეძლებს საზოგადოების ინტერესების განხორციელებას, შემდეგ არჩევნებშიც ის გაიმარჯვებს.

— ახალ რეალობაში თქვენ რას ურჩევდით საზოგადოების ფართო სპექტრს იმისათვის, რომ საზოგადოებამ მართლაც არ გაუშვას შანსი და ბოლოს და ბოლოს იქცეს დასავლური ტიპის საზოგადოებად, ხოლო ქვეყანა ევროპულად, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოება ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის მდგომარეობას...

— ვისურვებდი, საზოგადოების აქტიურობა არ შენელდეს და გაძლიერდეს კიდეც. საზოგადოების მოლოდინი, რომ ხელისუფლება გადაწყვეტს ყველა პრობლემას, ალბათ ვერ მიგვიყვანს იქამდე, რასაც ჩვენი საზოგადოების დასავლური ტიპის საზოგადოებად ჩამოყალიბება ჰქვია. ხელისუფლებამ უნდა მიხედოს პრობლემების ერთ ნაწილს, ხოლო დანარჩენ პრობლემებზე პასუხისმგებლობა საზოგადოებამ უნდა იკისროს და თავად ეცადოს, რომ წარმატებას მიაღწიოს. სწორედ ამიტომ, პირადად მე არჩევნების შემდეგ საზოგადოების გამოცოცხლებასა და აქტივობას მივესალმები. ეს არის გაცილებით უფრო ფართო და ხანგრძლივი სოციალური მოძრაობის დასაწყისი, რომელიც საბოლოო ჯამში ჩვენს ქვეყანაში მეტ ევროპულობასა და თანასწორობას მოიტანს.

— რჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის პოლიტიკური ბრძოლა დასრულებული სულაც არაა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივი იყო ფინანსთა ახალი მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადება, რომ წინა ხელისუფლებამ მიმდინარე წელს მილიარდი ლარი არამიზნობრივად დახარჯა. პრემიერ-მინისტრმა სააკაშვილს პრეზიდენტის რეზიდენციიდან მთავრობის კანცელარიაში გადასვლა იმ მოტივით შესთავაზა, რომ რეზიდენციის ხარჯები საკმაოდ დიდია. კერძოდ, ითქვა, რომ რეზიდენციის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების ხარჯები წელიწადში 800 ათასი ლარია. ამ თემაზე პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადება იმის დასტური იყო, რომ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრის შეთავაზება არ მიიღო. თქვენ როგორ შეაფასებდით პრემიერის შეთავაზებასა და მასზე პრეზიდენტის უარს?

— ამასთან დაკავშირებით მე მაქვს წინადადება — პრეზიდენტი ქუთაისში, მთავრობა ავლაბარში. მივესალმები იმას, რომ ხელისუფლება ცდილობს, შეკვეცოს ზედმეტი ხარჯები. ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ და ფუფუნების შესაძლებლობა არ გვაქვს. ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული აპარატის ხარჯები მკვეთრად უნდა შემცირდეს. თუ გადახედავთ ევროპული ქვეყნების ბიუჯეტებს და შეადარებთ ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს, ნახავთ, რომ საქართველოს ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ხმარდება სახელმწიფოს ფუნქციონირების დაფინანსებას. და ეს მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში ამავე ხარჯებს ბიუჯეტის სულ მცირე ნაწილი ხმარდება. ეს პროპორცია უნდა შეიცვალოს.

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრემიერ-მინისტრ ივანი შვილის შეთავაზებაზე უარის თქმით პრეზიდენტმა უარი თქვა ხარჯების შემცირებაზე? და კიდევ, თქვენი აზრით, როგორ დასრულდება პრეზიდენტის რეზიდენციის ხარჯებთან დაკავშირებული საკითხები?

— ხარჯების შემცირების პრეროგატივა მთავრობას ეკუთვნის და არა პრეზიდენტს. მთავრობას შეუძლია, შეკვეცოს პრეზიდენტის რეზიდენციის ხარჯები. აშკარაა, რომ არსებულ ვითარებაში პრეზიდენტის რეზიდენცია იმ მასშტაბით, როგორც აქამდე იყო, ვერ იფუნქციონირებს.

კობა ბენდელიანი

ასე მგონია!..

„უდედოდ“ გაზრდილ ბალღები რა ვაჟკაცობას იზამენ...

სხვა დროსაც აღგვინიშნავს, ერთი ქართული ყოველკვირეული არცთუ უპოპულარულო გაზეთი რეგულარულად რომ გვაცნობდა ნაცთა ხელისუფლების დიდკაცთა და დიდქალთა ქონებრივ დეკლარაციებს (ისიც შეგვითავაზებია, დროა, ეგ დიდჩინოსნები გონებრივ დეკლარაციაზეც გადავიდნენო...). ეს პუბლიკაციები ბიოგრაფიულ მომენტებსაც შეიცავდა.

ერთ-ერთი ბოლო დეკლარაცია ეკატერინე ზღულაძეს ეხებოდა და 2011 წლის 6 სექტემბერს ვაჟი ალექსანდრე გლუქსმანი რომ შესძენია, იმასაც გვატყობინებდა (ღმერთმა მშვიდობაში და ბედნიერებაში გაუზარდოს!).

უფრო ადრე, ნინო კალანდაძის დეკლარაციიდან, ჩანდა, რომ იმ მომენტისათვის ორიოდე წლის ბავშვის დედა ბრძანებულა (ასევე კარგად უმყოფოს!).

რასაა, რომ არ ფიქრობს კაცი, დათა თუთაშხიასი არ იყოს და მეც ვფიქრობდი აი, რას: ნინო კალანდაძე კაი დიდხანს გახლდათ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, რაც ფრიად პასუხსაგები და დიდი დროის წამღები თანამდებობაა (უნდა იყოს!). სამინისტროში ჯდომის „პარალელურად“, ქალბატონი მოადგილე ლამის ყოველდღე იჩითებოდა ტელეეკრანიდან განცხადებებითა თუ ბრიფინგებით... ბავშვის გაჩენამდე 9 თვე ხომ იქნებოდა ფეხმძიმედ და მთელ ამ დროსა და მერეც ამისთანა მდგომარეობისათვის (მინისტრის მოადგილეობას ვგულისხმობ) უნდა „ცლოდა“? მთელი დღე ხომ მაღალჩინოსნის კაბინეტში ჯდომასა თუ სამსახურებრივ მისვლა-მოსვლას უნდა მოანდომო — ჩვილს დედის ხელი, გნებავთ, დედის ძუძუ, ხომ აკლდება? რომელ ძიძას თუ მომვლელს შეუძლია დედის მაგიერობა თუ შეცვლა?

თითქმის იმავეს თქმა მომიწევს ეკატერინე ზღულაძეზე: არანაკლებ საპასუხისმგებლოა და არანაკლები დროის მომთხოვნი შინაგან საქმეთა მინისტრის მგონი პირველი მოადგილეობა, რა თანამდებობაც წლების სიგრძეზე ეკავა. შემდეგ სულაც მინისტრი გახდა, თუმცა „ხალიფა ერთი საათით, მაშინ ბიჭუნა წლისაც არ იქნებოდა და ისევ ძიძის ხელში? ისევ ძიძის ამარა? დიდ ვაჟას თუ მცირედ გარდავთქვამთ, „ძიძისგან გაზრდილ ბალღები რა ვაჟკაცობას იზამენ“? ხომ არ გამოგვივა? ან თავად რად არ მოითხოვა „დეკრეტულ შვებულებაში“ წასვლა ასეთი მდგომარეობის მიზეზით, ან პრეზიდენტი რას ნიშნავდა მინისტრად ჩვილის დედას?..

მეპატიოს ეს ყველაფერი, ნუ ჩამეთვლება სხვის პირად საქმეში ჩარევად, მაგრამ ასეთ ფიქრებსაც ხომ აქვს „არსებობის“ უფლება! ჯერ წესია მინისტრობაც და მერე მინისტრობაა მინისტრობა. დიდი თანამდებობის მქონე, მაგრამ პატარა შვილის მყოლმა ქალმა ჯერ დედის ფუნქციებზე უნდა იფიქროს, მერე მინისტრის მოადგილის ან მინისტრისა — ასე მგონია მე...

ამგვარი შემთხვევები სხვაც ყოფილა და კვლავაც იქნება. ეგება ღირდეს დაფიქრებად, მე აკი დავფიქრდი...

ბერდია ბედოიძე

ინფორმაცია

ქუთაისის პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით გაზის კორპორაციის გადასდომებიც იკვეთება

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის შეფასებით, ქუთაისში პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გარდა, გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სამართლებრივი გადაცდომებიც იკვეთება.

როგორც დეპუტატმა განაცხადა, გაირკვა, რომ გაზისა და ნავთობის კორპორაციას აღებული ჰქონდა ევროობილიგაციების სახით საერთაშორისო მიზნობრივი სესხი — 50 მილიონი ლარი. მისი თქმით, კორპორაციამ აღნიშნული სესხი კერძო სამართლის იურიდიულ პირზე, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოზე გადაასესხა. თავის მხრივ კი, სწორედ აღნიშნული სააგენტოა ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობის შემკვეთი.

ამასთან, როგორც ზურაბ ტყემელაძემ განაცხადა, მისი ინფორმაციით, თავდაპირველად ქუთაისში პარლამენტის შენობის დამკვეთი იყო ქუთაისის მერია, რომელმაც გადაიხადა 65 მილიონი ლარი, პარლამენტის ადმინისტრაციული აპარატის შენობის ასაშენებლად კი, დეპუტატის მონაცემებით, დახარჯულია 21 მილიონი ლარი.

გარდა ამისა, ტყემალაძე აცხადებს, რომ მთავრობის ადმინისტრაციის შენობისათვის 35 მილიონი ლარი დაიხარჯა, ხოლო პარლამენტის შენობის ცენტრალური ნაწილისათვის - 216 მილიონი.

ჯამში, ტყემალაძის თქმით, დახარჯულია 360 მილიონი ლარი და დარჩენილი სამუშაოებისთვის დამატებით 15-20 მილიონი ლარია საჭირო. ზურაბ ტყემალაძე ქუთაისში პარლამენტის შენობასთან დაკავშირებულ საკითხებს ორ კვირაზე მეტია სწავლობს. მან გასულ კვირას მოსმენაც გამართა შესაბამისი უწყების წარმომადგენლებთან. ასევე, როგორც ცნობილია, თბილისში პარლამენტის ძველი შენობის დარბაზების დემონტაჟთან დაკავშირებულ საკითხებს იკვლევს ვიცე სპიკერი ზვიად ძიძიგური, რომელიც თბილისის პარლამენტთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე ბიუროს მოახსენებს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას ასწავლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

ახალი ხელისუფლება განათლებას ერთ-ერთ პრიორიტეტად ასახელებს. აქედანაც ჩანს, რომ ეს არის სფერო, სადაც ჯერ კიდევ მრავლად არის პრობლემები და სახელმწიფოს მიერ მისი გამოსწორების ნებაც დაფიქსირდა, განათლების მაღალი ხარისხი კი პირველ რიგში სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების ამოცანაა. ამაში სახელმწიფო მათ მხოლოდ ხელს შეუწყობს. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ხარისხის შესახებ ხშირად მოგვისმენია შენიშვნები, თუმცა, როგორც ჩანს, პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი ნატალია სარაძე for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც კონკურსი გაიარა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კონკრეტული საგნის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში“ წაკითხვა მოუხდა, პრობლემას მაშინვე გადააწყდა.

ნატალია ხარაძე: „სილაბუსის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბევრი შეუსაბამობა იყო. პირველი რაც გამახსენდა, იყო საბჭოთა პერიოდში გავრცელებული ამბავი – ჩვენი მშობლები მუდმივად ყვებოდნენ ამ ისტორიას, როგორ ჩავიდა ციმბირის ერთ-ერთ სკოლაში მეგრელი და ფრანგულის ნაცვლად ასწავლიდა მეგრულს. მაგრამ ვთვლი, რომ მათი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, რადგან მათ მეგრული მაინც ისწავლეს, ის კი, რასაც ეს ბავშვები სწავლობენ, სრულიად გაურკვეველი რამ არის.

ხარისხის სამსახურთან კონსულტაციის გავლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ვიდრე არ მოხდებოდა მთლიანად, ფაკულტეტზე სილაბუსების შესწორების დრო, არ მქონდა უფლება, რაიმე გადახვევა გამეკეთებინა.

– მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, ეგებ ავხსნათ რაზეა საუბარი?

– სასწავლო პროგრამა შედგება გარკვეული სილაბუსებისაგან, ეს არის საგნები, რომელსაც შესაბამისი პროფილის კათედრები ადგენენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სილაბუსი არ არის კათედრის გაკეთებული – ჩემთვის გაუკვეველი მიზეზებით, კათედრას გვერდი აუარეს და სილაბუსი სხვა დარგის სპეციალისტებს შეადგენინეს. პროგრამა დამტკიცდა 2011 წელს.

– ვინ ამტკიცებს პროგრამებს?

– პროგრამებს, ისევე როგორც სილაბუსებს, ამტკიცებს ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე უნდა დამტკიცდეს, შემდეგი პროცედურაა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური, აკრედიტაციის ცენტრი და ა.შ.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვინმეს ამ საკითხებისთვის ზედაპირულად მაინც რომ გადაეხედა, იმდენად ნათლად ჩანს დარღვევები, პროგრამას არ დაამტკიცებდნენ.

წარდგენილი პროგრამების დამტკიცებამდე არსებობს ზემდგომი ორგანო – ხარისხის სამსახური – რომლის პირდაპირი მოვალეობაა იქ მისული პროგრამები გადაამოწმოს. თუ დარღვევებია – მათ აქვთ ინსტრუქციები, რაზე დაყრდნობითაც შეუძლიათ, უარი თქვან პროგრამის დამტკიცებაზე. უნდა გამოეჩინათ იმდენი პასუხისმგებლობა, რომ ეს არ დაეშვათ.

– რა დარღვევებზეა საუბარი?

– ბაკალავრიატის პროგრამაში აუცილებელია, რომ ქართული ლიტერატურა იყოს მითითებული, რაც არ არის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი თემები არ არის ადამიანური რესურსის მენეჯმენტიდან. თემები ქაოსურად არის მოცემული, ძირითადი ლიტერატურა კი – მოძველებული.

სილაბუსში მითითებულ ორ საკითხზე ლიტერატურის მოძიება შესაძლებელია კონფერენციის მასალებიდან, საიდანაც ნაწილი ინგლისურ, ნაწილი კი ესპანურ ენაზეა. ერთადერთი სახელმძღვანელო, რომელსაც სილაბუსი ითვალისწინებს, 1996 წელს არის გამოცემული და, რაც მთავარია, ეს სახელმძღვანელო არ ეხება ადამიანური რესურსების მენეჯმენტს.

> **სასწავლო პროგრამა შედგება გარკვეული სილაბუსებისაგან, ეს არის საგნები, რომელსაც შესაბამისი პროფილის კათედრები ადგენენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სილაბუსი არ არის კათედრის გაკეთებული – ჩემთვის გაუკვეველი მიზეზებით, კათედრას გვერდი აუარეს და სილაბუსი სხვა დარგის სპეციალისტებს შეადგენინეს. პროგრამა დამტკიცდა 2011 წელს.**

– ანუ, გაარკვიეთ, რომ სილაბუსის გადახვევის უფლება არ გქონდათ, რის მიხედვით ასწავლიდით სტუდენტებს?

– მოვიძიე სახელმძღვანელოები... ეს არის მენეჯმენტი ტურიზმში, რომლის შემადგენელი ნაწილი არის ადამიანური რესურსების მენეჯმენტიც. ესენია 2006, 2008 წლის გამოცემები. მართალია, ესეც არ არის ახალი, მაგრამ 1996 წელს გამოცემული წიგნით ამ საგნის სწავლება სრულიად წარმოუდგენელია. უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ კვალიფიციური კადრების მომზადებას უზრუნველყოფს, გასული საუკუნის წიგნებით ვასწავლოთ?

– თუ განაცხადეთ დეკანატში, რომ დამატებითი ლიტერატურის მოძიება მოგიხდათ?

– ერთ-ერთმა სტუდენტმა ამ პროგრამის სხვა სილაბუსები გააპროტესტა და შევიდა ტურიზმის სკოლის დირექტორთან სერგო მელაძესთან. სტუდენტმა აღნიშნა, რომ ის რამდენიმე წლის მანძილზე ერთსა და იგივე საკითხებს სწავლობს. ამავდროულად, მან აღნიშნა, რატომ უნდა წავლობდეს, მაგალითად, ნატო ხარაძე და შემოჰქონდეს დამატებითი ლიტერატურა და, შესაძლებელია თუ არა, სილაბუსი თავიდანვე სრულყოფილად იყოს შედგენილიო.

მათ ვერ გაიგეს, რა თქვა სტუდენტმა და ჩემს მიერ შეტანილი მასალების გადამოწმება დაიწყეს. დაწერეს დასკვნა, რომ ჩემს მიერ შეტანილი მასალებიდან პირველი სამი თემა ემთხვეოდა სილაბუსს, მეოთხე კი – არ ემთხვეოდა, და გაურკვეველი წიგნებიდან იყო დაწერილი.

ველოდი, რომ რაკი სტუდენტებს იმას ვასწავლიდი, რაც უნდა ესწავლებას მაინც მეტყოდა.

> **ბაკალავრიატის პროგრამაში აუცილებელია, რომ ქართული ლიტერატურა იყოს მითითებული, რაც არ არის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი თემები არ არის ადამიანური რესურსის მენეჯმენტიდან. თემები ქაოსურად არის მოცემული, ძირითადი ლიტერატურა კი – მოძველებული.**

რაკი საკითხი ასე დადგა, ჩავხედე ამ პროგრამის სხვა სილაბუსებსაც, რომელიც მე არ მეხება. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სხვაგანაც არ არის უკეთესი მდგომარეობა. ამის თქმის საფუძველს სტუდენტების უკმაყოფილებაც მაძლევს, რომლებიც აღშფოთებულები არიან იმ მასალით, რასაც სწავლობენ და მუდმივად იმეორებენ, რომ სწავლობენ ერთსა და იგივეს.

იმისათვის, რომ სტუდენტები არ დაზარალდნენ, მოვითხოვ, შესაბამისი კომისია გამოიყოს აკრედიტაციის სამსახურიდან, ხარისხის სამსახურიდან. გაირკვეს, თუ ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ამ პროგრამას მხარი დაუჭირეს. ამ სამსახურებში უმრავი პროფესიონალია და ჩემთვის გაუგებარია, რატომ დახუჭეს ამაზე თვალი.

ამ პროგრამების დამტკიცებაში მონაწილეობა მიიღეს სრულმა პროფესორებმა, მიმართულების ხელმძღვანელებმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა. ამჟამინდელ დეკანს პროგრამის დამტკიცებაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა როდესაც პროგრამებში ჩაიხედა, საჭიროდ ჩათვალა, რომ ისინი უნდა შეიცვალოს, სერიოზულად უნდა გადაიხედოს ყველა საკითხი.

– ანუ, პრობლემა ამოწურულია?

– მგონია, რომ არ დასცალდება, რადგან ის ადამიანები, რომლებმაც ამ პროგრამების დამტკიცებაში მიიღეს მონაწილეობა, საფრთხეს გრძნობენ და ისინი ფაკულტეტის დეკანს დაუპირისპირდნენ, მის გადადგომას ითხოვენ. მაქვს საფუძლიანი ეჭვი, რომ ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც არ უნდათ ფაკულტეტის დეკანი, არის ის, რომ სავარაუდოდ, მსგავსი დარღვევები სხვა პროგრამებშიც არის და არ სურთ, გამოვიდეს სააშკარაოზე. სხვა მიზეზს მე ვერ ვხედავ.

– როგორც თქვენ აღნიშნეთ, ეს საკითხი კათედრაზე განიხილეს, რა გადაწყდა?

– მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრაზე იმსჯელეს ამ საკითხზე, სადაც პროფესორებმა საკუთარი მოსაზრებები. მაგალითად, პროფესორმა პაიჭაძემაც და პროფესორმა შიხაშვილმაც აღნიშნეს, რომ სილაბუსი არ არის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში“, არამედ შეიცავს, გაურკვევლად შეკრებილ საკითხებს. დადგინდა კიდეც, რომ გადაეგზავნოს ხარისხის მართვის სამსახურს სილაბუსი თსუ-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

– აბა რაშია პრობლემა?

– მასვე ეგზავნება გამოსასწორებლად, ვინც ეს პროგრამა დაამტკიცა. ნახეთ, რა ვიზა დაადეს სხდომის ოქმს – „გთხოვთ ა.წ. 15 ნოემბრამდე წარმოადგინოთ კათედრის მიერ გადამუშავებული სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმსა და მასპინძლობაში“ სილაბუსი (აკრედიტირებულ სილაბუსზე დაყრდნობით) ფაკულტეტის ხარისხის სამსახურში განსახილველად. ამავე სილაბუსზე დაყრდნობით შესაძლებელია სასწავლო პროცესის წარმართვა და სილაბუსის პარალელურ რეჟიმში სრულყოფა“.

ამის გარდა, ნათქვამია, რომ დასაყრდნობული სილაბუსი უნდა იყოს, რაც ვფიქრობ, არასწორია, რადგან ის, რაც არის, საგანთან მიახლოებულიც არ არის.

– თქვენ რას ითხოვთ?

– ფაკულტეტის დეკანს, აკაკი ხელაძეს მივმართე კიდეც განცხადებით, რომ ამ ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვება არის დანაშაული თაობის წინაშე. სილაბუსის სათაური და შინაარსი საერთოდ არ არის შესაბამისობაში. მე კი არა, სამართლიანობა მოითხოვს, დაისაჯოს ამ პროგრამის შედგენასა და დამტკიცებაში მონაწილე ყველა პირი. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს საკუთარი შეცდომის წერილობით აღიარება ხარისხის სამსახურის მიერ.

for.ge ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს **გიორგი ღაღანიძეს** დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრობლემა მართლაც იყო, მაგრამ მის აღმოფხვრას ცდილობენ.

გიორგი ღაღანიძე: მე ამას საკმაოდ მარტივად და პროზაულად ვუყურებ. სილაბუსში აუცილებლად არის რაღაც დასახვეწი, გასასწორებელი. ამ სილაბუსშიც აღმოჩნდა საკმაოდ ბევრი დასახვეწი საკითხი. განისაზღვრა, რომ მოხდეს მისი დახვეწა. ეს არის და ეს. რამდენად არის მედიით განსახილველი თემა, არ ვიცი. თქვენ თვლით, რომ ეს არის თემა, რომელიც 2012 წლის 30 ოქტომბერს ასე აღელვებს ქართულ საზოგადოებას?

– უამრავი საკითხი აღელვებს დღეს ქართულ საზოგადოებას მათ შორის – უნივერსიტეტში სწავლების თემაც...

– კი ბატონო, თქვენი ნებაა.

როგორც ჩვენთან საუბრისას ქალბატონმა ნატომ აღნიშნა, თანამშრომლები დეკანის გადადგომასაც ითხოვენ. მიზეზი რა არის?

– ამის შესახებ არაფერი არ მსმენია და, როგორც ვიცი, არც არსად დაფიქსირებულა.

– ბატონო გიორგი, საინტერესოა, ასეთი ხარვეზი ერთ სილაბუსთან დაკავშირებით არის თუ სხვა სილაბუსების შემთხვევაშიც?

– დამისახელეთ საქართველოში სფერო, სადაც ხარვეზი არ არის. როგორ შეიძლება, დავსვათ საკითხი, რომ მხოლოდ საქართველოში კი არა, თუნდაც შვეიცარიაში, ყველაფერი იდეალურადაა! აქ მთავარი ეს საკითხი კი არ არის. მთავარია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კონკრეტულად ამ ფაკულტეტის ადმინისტრაციის, მთელი აკადემიური კორპუსის დამოკიდებულება, რომ ყოველწლიურად გავაუმჯობესოთ, გავამდიდროთ, უფრო უკეთესი გავხადოთ ყველა ჩვენი სილაბუსი და ყველა საგნის სწავლების დონე ავამაღლოთ.

ჩვენ ხომ არ ვასწავლით ისეთ ტრადიციულ საგანს, როგორიც არის ისტორია. ჩვენ ვასწავლით ძალზე დინამიურ საგანს, სადაც პრაქტიკულად ყოველ წელს ხდება განახლება და შესაბამისად, ეს არის პროცესი. ამ პროცესში კი სწორედ ის არის მნიშვნელოვანი, რომ თსუ-ს, ფაკულტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს, სწავლების ფორმების განახლება იქნება თუ მეთოდების, ამას შეუწყოს ხელი. მაქსიმალურად ფართოდ ჩართოს სტუდენტები, როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის შემფასებელი კომპონენტი.

– ქალბატონმა ნატომ აღნიშნა, რომ მასთან სტუდენტები უკმაყოფილებას გამოხატავენ. თქვენთან თუ გამოუხატავთ სტუდენტებს უკმაყოფილება?

– რომელიღაც კონკრეტული საგნის შესახებ მომისმენია, რომ არის დამთხვევები და ა.შ. თუმცა, ვთვლი, რომ უფრო მთავარია, რამდენად არსებობს ქმედითი მექანიზმები, რომ ამგვარი ფაქტები გამოვლინდეს. გამოვლენის შემდეგ კი რამდენად სწრაფად მიიღება გადაწყვეტილება, რომ ეს აღმოიფხვრას.

სიმართლე გითხრათ, კარგია, როდესაც ასეთ დარღვევებზე რეაგირება ხდება, თუმცა, უკეთესი იქნებოდა, მსგავსი რამ არ ყოფილიყო...

– აქ რა მნიშვნელობა აქვს, ვინმე ვეძებოთ და ის დავსაჯოთ - ამ მექანიზმით უზრუნველყოფილი არ იქნება წინსვლა, განახლება და გაუმჯობესება.

მარიამ თოდაძე

P. S. for.ge-მ დაადგინა, რომ გიორგი ღაღანიძე არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი, რომლის კომპეტენციაში საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაზე დასკვნის მომზადება შედის. შესაბამისად, მან კარგად უნდა იცოდეს, რომ პროგრამაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ ერთი დარღვევაც კი. ასევე, როგორც For.ge-მ დაადგინა, საბჭოს შემადგენლობაში, რომელმაც მხარი დაუჭირა ზემოაღნიშნულ პროგრამას, შედიოდნენ ძალიან ცნობილი პედაგოგები და მეცნიერები, მათ შორის – ფინანსთა ამჟამინდელი მინისტრი ნოდარ ხადური და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია.

მ. თ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული პოლიტიკის ფრანგული ფესვები

საქართველო საფრანგეთის პროვინცია გახდა? საქმე ის არის, რომ კავკასიის ამ რესპუბლიკის ახალ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს... საფრანგეთის პასპორტი აქვს. ამ ოპოზიციონერმა, რომელიც პრორუსულ პოლიტიკოსად არის მიჩნეული, ამ ცოტა ხნის წინათ მოიპოვა გამარჯვება სახელმწიფოს მეთაურის მიხეილ სააკაშვილის ბანაკზე პარლამენტის არჩევნებში. ამავე დროს ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც შესანიშნავად ფლობს ფრანგულ ენას და ყოველთვის იცავს პრამერიკულ პოზიციებს, კონსულტაციას უწევს ფილოსოფოსის ანდრე გლუქსმანის ვაჟიშვილი. ხოლო ქვეყნის ერთ-ერთი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი თავის დანიშვნამდე იყო საფრანგეთის ელჩი თბილისში. პარლამენტის არჩევნების გამარჯვებულია ბიძინა ივანიშვილი — 56 წლის მილიარდერი, რომელმაც საფრანგეთის მოქალაქეობა 2010 წელს მიიღო. ის საბჭოთა საქართველოში დაიბადა და სწავლობდა მოსკოვში, სადაც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დააგროვა ქონება და მას რუსეთის პასპორტიც მისცეს. 1990-იან წლებში ის პარიზის მახლობლად თავის ცოლთან ეკატერინესთან (ისიც ქართველია) ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. იქვე დაიბადა მათი ოთხივე შვილი, და მის მეუღლეს მიანიჭეს იქაური მოქალაქეობა. თავად კი იგი 2004 წელს დაბრუნდა საქართველოში. იმისთვის, რომ მის შვილებს შეძლებოდათ გაეგრძელებინათ სწავლა თბილისში, მან დააფინანსა ფრანგული სკოლის მშენებლობა (25 ეროვნების 190 მოსწავლე). ასეთი გულუხვობის ხილვით საფრანგეთმა შესთავაზა მას შემოეტანა თხოვნა მოქალაქეობის მინიჭების შესახებ.

სეპარატისტების „ქართული ოცნება“

მისი მეტოქე მიხეილ სააკაშვილი ასევე შესანიშნავად ფლობს მოლიერის ენას. რა არის ეს, უბრალო დამთხვევა? უფრო ზუსტად, საფრანგეთ-საქართველოს ტროპიზმის კიდევ ერთი გამოვლენა: ამ კავკასიური რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში ბევრი ფრანგია და ისეთებიც, ვინც იცის ფრანგული ენა.

ყველაფერი დაიწყო 2004 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე სალომე ზურაბიშვილის დანიშვნით, რომელიც მაშინ საფრანგეთის ელჩი იყო თბილისში. „თეთრი“ ქართველი ემიგრანტების ეს შვილიშვილი და ისტორიკოს ელენ კარერ დ’ ანკოსის ბიძაშვილი ენთუზიაზმით დათანხმდა დაეტოვებინა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ემსახურა თავისი წინაპრების სამშობლოში პრეზიდენტ შირაქის ხელდასხმით, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ამით შექმნიდა პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკანოფილობის დაპირისპირებას. მიუხედავად ამისა, ურთიერთობა ფრანგსა (მას მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა პრეზიდენტის ბრძანებულებით) და სახელმწიფოს მეთაურს შორის ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი გადავიდა ოპოზიციაში და ჩამოაყალიბა საკუთარი პარტია. დღეს იგი ნიუ-იორკში იმყოფება და კოორდინაციას უწევს დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფის მუშაობას, ისინი თვალყურს ადევნებენ სანქციების გამოყენებას ირანის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს მითითებით.

ამ ფრანგულ კავშირურთიერთობათა ახალი ეპიზოდი 2008 წელს განეკუთვნება. იმ ზაფხულს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სცენაზე გამოვიდა რაფაელ გლუქსმანი, ცნობილი ფილოსოფოს-ნეოკონსერვატორის შვილი. ეს ახალგაზრდა ჟურნალისტი მხარს უჭერდა პრეზიდენტის პოლიტიკურ შეხედულებებს: მან მასთან თანაავტორობით დაწერა წიგნი „მე გეუბნებით თავისუფლების შესახებ“ და აცხადებს, რომ არის შუამავალი მოლაპარაკებაში ელისეის სასახლესთან. უფრო მეტიც, ის ეკა ზღულაძეზეც კი დაქორწინდა, რომელიც სააკაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა.

რაფაელ გლუქსმანი, როგორც ჩანს, ძალიან ახლოსაა ხელისუფლებასთან. „მან ერთადერთ „ფრანგთანაც“ კი არ ისურვა შეხვედრა ქართულ ოპოზიციაში, — ამბობს სალომე ზურაბიშვილი. — რადგან ის დაქორწინებულია იმ ქალზე, ვინც იყო მინისტრის მოადგილე, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრიც, ნუთუ მართლაც მისთვის არაფერი იყო ცნობილი ყველა იმ პოლიციური ექსცესების, ციხეებში წამებისა და სამწუხარო სიტუაციების შესახებ ქვეყანაში?“

Marianne

რუსეთი-საქართველო: ახალი ფურცელი ურთიერთობებში?

საქართველოს განზრახული აქვს დაიწყოს ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში და პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ახალი თანამდებობის გაჩენას რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში თბილისში მოსკოვთან შესახვედრად გადადგმულ პირველ ნაბიჯს უწოდებენ.

„დღეს ჩვენ უნდა შევძლოთ ჯერ მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი, შემდეგ კი ავიყვანოთ ისინი ახალ სიმაღლეზე ორ ქვეყანას შორის“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც ამ თანამდებობაზე გამოცდილ დიპლომატს ზურაბ აბაშიძეს წარადგენდა.

რუსეთთან დიალოგის დაწყება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ძირითადი დაპირება იყო.

მაგრამ იმ პირობებში, როდესაც არც ერთ მხარეს არ სურს უკან დახევა თავისი პოზიციიდან ძირითად საკითხებში — საქართველოს ინტეგრაციაში ნატოსთან და საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების მოწესრიგებასთან — რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება ახალი ხელისუფლებისთვის ძნელად შესასრულებელი ამოცანა ხდება.

პირველი ნაბიჯი

აბაშიძე, რომელიც უშუალოდ პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება, გამოცდილი დიპლომატია, იგი იყო საქართველოს ელჩი რუსეთში 2000 წლიდან 2004 წლამდე.

მთავრობაში იმედი აქვთ, რომ დიპლომატის გამოცდილება და კონტაქტები დაეხმარება მას მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგების ამოცანის გამარტივებაში.

იმ პირობებში, როდესაც ორ ქვეყანას შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობანი, საქართველოს მთავრობაში ახალი თანამდებობის შექმნა იძლევა პირდაპირი კონტაქტების შესაძლებლობას უმაღლეს დონეზე, ამბობენ ექსპერტები.

საქართველოს მთავრობაში აცხადებენ, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისთვის ამ ეტაპზე დაბრკოლება არის რუსეთის მიერ საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

ეს პრობლემა, ექსპერტების აზრით, დარჩება საჯილდაო ქვად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში.

პასუხის მოლოდინში

მოსკოვში, თავის მხრივ, არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ მთავარი დაბრკოლება თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის გზაზე არის მიხეილ სააკაშვილი. მას არაერთგზის აკრიტიკებდნენ ზედმეტად მკვეთრი რიტორიკის გამო კრემლის მისამართით და ქვეყნის შიგნითაც.

დღეს საქართველოს ახალ მთავრობაში ხალხი მზად არის საკითხების ვრცელი სპექტრის განხილვისთვის. მისი წარმომადგენლები უკვე აკეთებენ განცხადებებს, რომლებიც მოწმობენ იმის შესახებ, რომ საქართველოს ექნება მთელი რიგი წინადადებები მოსკოვთან განხილვისთვის, აღნიშნავენ ექსპერტები.

მაგრამ ახალი მთავრობის დაპირებას ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში, რომელსაც სააკაშვილი ხელმძღვანელობს, სკეპტიკურად უყურებენ.

„მე ვფიქრობ, რომ ზურაბ აბაშიძე შეძლებს მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებას, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მთავარი პრობლემა რუსეთის ფედერაციაშია. რუსეთს სურს განახორციელოს და გაძლიეროს თავისი გავლენა საქართველოზე, მას სურს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონები იყვნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები“, — ამბობს დეპუტატი აკაკი მინაშვილი.

თამაში გრძელდება

საქართველო ასევე არ აპირებს წავიდეს კომპრომისზე ქვეყნის ნატოსთან ინტეგრაციის საკითხში. რუსეთთან ურთიერთობათა მოწესრიგების პროცესის დაწყებას საქართველოს მთავრობა აპირებს სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის აღდგენით.

ამ საკითხებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი „უფრო მსუბუქსა“ და „რეალისტურს“ უწოდებს უახლოეს მომავალში გადასაჭრელად.

რუსეთის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი გენადი ონიშჩენკო „იზვესტიასთან“ ინტერვიუში არ გამორიცხავს, რომ ქართული ღვინო მალე გაჩნდება რუსეთში.

ქართველი პოლიტოლოგების აზრით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მსუბუქი საკითხები არ არსებობს. და იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი გამღიზიანებელი, როგორიცაა, მაგალითად, ნატოში შესვლის საკითხი, არ არის თავიდან მოშორებული, მაშასადამე, რუსეთის ბაზრის გახსნა სავსებით შეიძლება გახდეს ვაჭრობისა და თამაშის საგანი მოსკოვის მხრიდან.

ამავე დროს, ექსპერტების სიტყვებით, რუსეთზე ზეგავლენის ბერკეტები საქართველოში შეზღუდულია. იმ დროს, როდესაც საქართველოსთვის რუსეთის ბაზარზე დაბრუნება და რუსეთთან უვიზო რეჟიმის აღდგენა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები, რუსეთს შეუძლია იოლად მოახდინოს თავისი იმპორტის დივერსიფიცირება და დიდად არც არის დაინტერესებული საქართველოსთან უვიზო რეჟიმით.

რუსეთი-საქართველო: საერთო პრობლემები

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გამოყოფილ რეგიონებთან დაკავშირებულ საკითხში როგორც მოსკოვს, ისე თბილისს, გაუჭირდებათ წავიდნენ რაიმე დათმობაზე, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც მხარეებმა შეიძლება მიაღწიონ ურთიერთხელსაყრელ კომპრომისებს.

კიდევ ერთი გამაღიზიანებელი, რომელიც შეიძლება მოხსნილი იქნეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, არის ჩრდილოეთი კავკასიის თემა. ექსპერტების აზრით, პოლიტიკური ნების არსებობის დროს საქართველომ და რუსეთმა შეიძლება დაიწყონ ამ რეგიონში უშიშროების შენარჩუნების ძალისხმევის კოორდინაციის განხილვა.

დღეს საქართველოში არის აშკარა სურვილი და განზრახვაც, დაიწყონ ახალი ფურცელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, მაგრამ კარნეგის მოსკოვის ცენტრის ექსპერტის ანდრეი რიაბოვის სიტყვებით, საქართველოს ახალ მთავრობას ბევრი დრო როდი აქვს ამისთვის და მან, თუნდაც, რაღაც შედეგი მაინც უნდა აჩვენოს რუსეთის მიმართულებით უახლოეს პერიოდში.

„თუ არანაირი ძვრები არ იქნება კონკრეტული თემების მიხედვით, ვფიქრობ, საქართველოს მთავრობა გადაერთვება რაიმე უფრო მნიშვნელოვან საკითხზე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით“, — ამბობს რიაბოვი.

რეაქცია რუსეთში ქართულ ინიციატივასთან დაკავშირებით ჯერჯერობით თავშეკავებულია. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილე გრიგორი კარასინი მხოლოდ აცხადებს იმის შესახებ, რომ ზურაბ აბაშიძეს მოსკოვში კარგად იცნობენ.

BBC RUSSIAN.com

დედამიწის ზურგზე

კიევში დაახლოებით ათასმა ოპოზიციონერმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან მოაწყო არასანქცირებული მიტინგი

პარლამენტის არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ოპოზიციის მომხრეებს ხელში ეჭირათ „ბატკივაშინის“, ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარის“ და ნაციონალისტური პარტიის „სვობოდას“ პარტიული დროშები. აქციის ადგილზე შეკრიბეს მილიციის გაძლიერებული სპეციალური ქვედანაყოფები.

* * *

ჯო ბაიდენს ობამა ბილ კლინტონში შეეშალა

თავისი ცნობილი „წამოროშვებით“ ცნობილმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა, როდესაც 1200-კაციან წინასაარჩევნო მიტინგზე გამოდიოდა, გააკრიტიკა ობამას ოპონენტები მომავალ არჩევნებში — რესპუბლიკელი მიტ რომნი, რომლის პიარ რგოლშიც თითქოს საუბარი იყო იმის შესახებ, რომ „პრეზიდენტმა კლინტონმა გააკოტრა „ჩრისლერი“. რასაკვირველია, სინამდვილეში ამაში ბრალს სდებენ ობამას.

* * *

ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროზე კუნძულებზე გამოირიყა დაახლოებით 100 დელფინი

ავსტრალიელი სამაშველო სამსახურები, რომლებსაც ეხმარებოდნენ მოხალისეებიც, ცდილობდნენ გაეყვანათ ღია ზღვაში ზღვის ცხოველები, ბევრი მათგანი ამოთხარეს სანაპირო სილიდან. მიუხედავად ადამიანების დიდი ძალისხმევისა, 70-ზე მეტი დელფინი დაიღუპა.

* * *

აშშ-ში პოლიციის შველმფრენი ხალხით სავსე ძუჩაში ჩამოვარდა: არის მსხვერპლი

შედეგად დაიღუპა პოლიციის ორი თანამშრომელი, რომლებიც ბორტზე იმყოფებოდნენ. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არავინ დაზარალდა დედამიწაზე — დაცემის რაიონში ბევრი სასაუზმე და მაღაზიაა. 9 წლის ბიჭი, რომელსაც დაღუპული ოფიცრები ეძებდნენ, აღმოაჩინეს კატასტროფიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გამოფენა

კინოს სახლში, ნახატების გარემოცვაში

ბევრ გამორჩეულ ვერნისაჟს შორის, რომელიც გასულ კვირას დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში მოეწყო, ერთ-ერთი უაღრესად გამორჩეული კინოს სახლში გაიმართა, სადაც მრავალრიცხოვან მნახველს ნიჭიერმა თბილისელმა შემოქმედმა ნუგზარ ცხოვრებაშვილმა უმასპინძლა.

ფერწერის გამორჩეული მანერის მქონე თვითნასწავლი მხატვრის დაახლოებით ორმოცდაათი ფერწერული ნახატი, უდავოდ გამორჩეულია თავისი ხელწერის მანერით, სამყაროს რეალობის თავისებური აღქმით, მხატვრული გამომსახველობით.

ნუგზარ, იგივე ბუძა ცხოვრებაშვილმა, როგორც მას ახლობელ-მეგობრები ეძახიან, ხატვა დიდი ხნის წინათ, 1996 წელს, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო. არადა, თავდაპირველად ხატვა უფროსი ძმის თემურის კვალზე დაიწყო, რომლის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ჩარჩოზე გადაჭიმული ტილო, საღებავები და ფუნჯები დარჩა. ძალები რომ მოსინჯა, მნახველებს ბუძას ნამუშევრები იმდენად მოეწონათ, ერთმა მეგობარმა მხატვარმა კი, ცოტა ხნის წინათ უდროოდ გარდაცვლილმა მიშა იაშვილმა, მას „პირველი მხატვარი იურისტებს შორის და პირველი იურისტი მხატვრებს შორის“ უწოდა.

3 ნოემბერს კინოს სახლში გახსნილი ნუგზარ ცხოვრებაშვილის გამოფენა პირველი არ არის — 1998 წლიდან მოყოლებული, როცა გალერეა „ვერნისაჟში“ იგი მაყურებელს პირველად შეხვდა, რომ იტყვიან „ერთი ერთზე“, მან საკუთარი ნამუშევრები საზოგადოების სამსჯავროზე რამდენჯერმე გამოიტანა. ახლაც ასეა — თავისი ნამუშევრებით მხატვარი მნახველებს კინოს სახლის მეორე სართულზე ხუთშაბათამდე, 7 ნოემბრამდე ელის.

ოთარ ტურაბელიძე

◎ დაჯილდოება

ჟურნალისტური შრომის დაფასება

პარასკევს, 2 ნოემბერს კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ სასიამოვნო და ხალისიანი დღე იყო. საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარემ მერაბ ბერძენიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია და ჯილდო გადასცა საზოგადოებისთვის ცნობილ ჟურნალისტებს ირმა ინაშვილსა და ნანა ლეჟავას. ამავე დროს აღნიშნა მათი დაუცხრომელი შრომა, თავდადება და სიყვარული სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა. გამომსვლელებმა აღნიშნეს ჟურნალისტების მიერ სახელმწიფო და პარტიულ სტრუქტურებში კრიმინალური და კორუმპირებული ჩინოვნიკების დანაშაულებრივი ფაქტების მხილების მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებისთვის, ჟურნალისტების მაღალი პროფესიონალიზმი, გამბედაობა და სიმამაცე.

იყო საუბარი ნანა ლეჟავას გაბედულ ქმედებაზე ჭეშმარიტების დასადგენად ბესლანის ტერაქტზე, სადაც ბავშვები დაიღუპნენ, რაც იმ დროისთვის ძნელი მისაღწევი იყო. ნანა ლეჟავას გადაცემა „კვირის რეპორტაჟი“ მხნეობისა და მაღალპროფესიონალიზმის ჭეშმარიტი მაგალითია, სადაც მას ხშირ შემთხვევაში უხდება კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან, კრიმინალებთან, მაფიოზურ კლანებთან დაპირისპირება სიმართლის დასადგენად.

თქვა აფხაზეთიდან დევნილების ჭუბერით გადმოსვლაზე. ტრაგიკულ შემთხვევებზე, სადაც ირმა ინაშვილი, ჟურნალისტური საქმიანობის გარდა, ეხმარებოდა დაუძლურებულთ. ასევე, ბათუმში, გმირთა საფლავებზე მეჩეთის აშენების მცდელობის წინააღმდეგ, ირმა ინაშვილი „წინააღმდეგობის მოძრაობასთან“ და „ობიექტივის“ მთელ გუნდთან ერთად შეუპოვრად იბრძოდა. მის მიერ მოპოვებული ციხის შემზარავმა ფაქტებმა შესძრა სრულიად საქართველო.

დასასრულ, ირმა ინაშვილმა და ნანა ლეჟავამ მადლობა გადაუხადეს საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმს საპატიო ჯილდოსთვის და მათი საქმიანობის მაღალი შეფასებისთვის.

მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზას“ პრესცენტრი.

◎ ალიან-ჩალიანი

მანგლისის ეკლესიის მოხატულობის კონსერვაცია დასრულებულია

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის მანგლისის ეკლესიის უძველესი მხატვრობა, რომელიც წლების წინ არასწორი ჩარევებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სპეციალისტების მიერ ხანგრძლივი საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად გადარჩა.

სააგენტოს ინფორმაციით, ტაძრის გუმბათში ადრეული ტრადიციებითა და იკონოგრაფიული ბრწყინვალეებით შესრულებული XI საუკუნის მოხატულობის-ჯვრის ამაღლების კომპოზიციის კონსერვაცია სამაგალითოდ განხორციელდა.

მანგლისის ეკლესია მდებარეობიდან გამომდინარე, ფართო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი და ფრესკების კონსერვაციამდე და კონსერვაციის შემდგომი განსხვავებების აღმოჩენა, მომლოცველისა და უბრალო ტურისტისთვის, დღეს უკვე თვალშისაცემია.

საკონსერვაციო სამუშაოები აქ პირველად 1950-იან წლებში იმ დროისათვის დამახასიათებელი მეთოდით ჩატარდა. წლების განმავლობაში მუქმა ნადებმა თითქმის მთლიანად დაფარა ეს ბრწყინვალე მხატვრობა, გაუარესდა ფიზიკური მდგომარეობაც.

2012 წელს, მხატვრობის გადარჩენის მიზნით, ტაძარში აიგო ხარაჩო, 50-იან წლებში ნახმარი არათავსებადი თაბაშირის ქიმები გამოიცვალა კირის ხსნარით. მთლიანად გაიწმინდა მოხატულობის ზედაპირი და, ფაქტობრივად, ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ძეგლი ახალი გრანდიოზულობით წარსდგა მნახველის წინაშე.

სტიქიით მიყენებული ზარალი ხელახლა შესასწავლია

კახეთში სტიქიით მიყენებულ ზარალს ახალი მთავრობა ხელახლა შეისწავლის, — ამის შესახებ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

ნარმანიამ კახეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის შედეგები გუშინ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნო. მისი თქმით, სამუშაო ჯგუფმა კახეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები თავად დაათვალიერა. სამინისტროს წარმომადგენლები ყვარლის, თელავის, გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში ორჯერ იმყოფებოდნენ.

— ჩვენ დავიწყეთ კახეთის რეგიონით, რადგან იქ მსხვილი სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდებოდა და, ამავდროულად, იქ არ არის ბოლომდე დასრულებული სტიქიით მიყენებული ზარალის შემდგომი სამუშაოები. ბოლომდე არ არის აღწერილი ზარალი. ასევე არის პრობლემა, რომ მხარდაჭერა მოსახლეობისთვის შერჩევით განხორციელდა. ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი სტიქიით მიყენებული ზარალი. ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ხელახლა შევისწავლოთ იქ არსებული პრობლემები, — აცხადებს ნარმანია.

ვიზიტის ფარგლებში სამინისტროს წარმომადგენლებმა სულ სამი საგზაო ობიექტი, შვიდი ისტორიული ძეგლი, წყალმომარაგების ექვსი ობიექტი და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

როგორც ნარმანია აცხადებს, რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა, მათ შორის სამუშაოების შემსრულებლების მიმართ სამუშაოების დაჩქარების მოთხოვნა, რაც ადეკვატურად აისახებოდა ხარისხზე.

ასევე, მინისტრის განცხადებით, ბევრი სამუშაო, მათ შორის საგზაო მშენებლობები, უხარისხოდ არის შესრულებული, დაგებული გზის საფარი ისევ საჭიროებს რამდენიმე ადგილზე რეაბილიტაციას.

— ბევრი შემსრულებელი ასევე საუბრობს ზეწოლაზე. იყო ზეწოლა, რომ კონკრეტული სამთავრობო ღონისძიებებისთვის მოესწროთ გარკვეული სამუშაოების დასრულება, — აღნიშნა ნარმანიამ.

მინისტრი მოუწოდებს ყველა შემსრულებელს, ასეთი ფაქტების შესახებ დროულად მიმართონ სამინისტროს, რომელიც მათ გადაამისამართებს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებთან.

ინტერპრესი

◎ ვერნისაჟი

გამოფენა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში

გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში, ქალთა საზოგადოებრივი საქველმოქმედო ასოციაცია „ერთობა“ და საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი გეპატიჟებათ ბავშვთა ნახატების გამოფენაზე, რომელიც ეძღვნება გაეროს დღეს და ყველასთვის ხელმისაწვდომი მდგრადი ენერგიის საერთაშორისო წელს. ის გაიხსნა თბილისში ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საგამოფენო დარბაზში.

გამოფენაზე წარმოდგენილია 125 ნორჩი მხატვრის შემოქმედება, მათ შორის სოციალურად დაუცველი და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების ნახატები.

გამოფენა საზეიმოდ გახსნეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გეგმების ხელმძღვანელმა სოფო ქემხაძემ და ქალთა საქველმოქმედო ასოციაცია „ერთობის“ თავმჯდომარემ ია ქვათაძემ.

ღონისძიების მთავარი დევიზია: „გარემოს დაცვა და ენერგია — თითოეულის საზრუნავია“!

გამოფენა ამჟამად მიძღვნილია გაეროს დღისადმი, რომელიც 1971 წლიდან ამ ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებში აღინიშნება როგორც ოფიციალური დღესასწაული. თავისი რეზოლუციით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ 2012 წელი გამოცხადდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი მდგრადი ენერგიის საერთაშორისო წლად.

ქალთა საქველმოქმედო ასოციაცია „ერთობის“ თავმჯდომარემ ია ქვათაძემ კი განაცხადა, რომ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში 100-ზე მეტი ბავშვი სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან და ეროვნული უმცირესობებისგან გატაცებით მუშაობდნენ წარმოდგენილ ექსპოზიციაზე. ამიტომაა აქ ასეთი მრავალფეროვნება...

სერტიფიკატები მიიღო ყველა ნორჩმა მხატვარმა საქართველოს დედაქალაქის სხადასხვა სტუდიებიდან და სკოლებიდან. მათ გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრებიც. მაგრამ მთავარ ჯილდოდ ნორჩ შემოქმედთათვის მაინც ის დიდი ყურადღება და სიყვარული გახდა, რომელიც გამოვლინდა საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებისა და ადგილობრივი და უცხოელი სტუმრების მხრიდან.

მამია ალაშვილი,
ავტორის ფოტო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წინ, საქართველო!

კენწეროში გატკბილდა

წაგებით ისწავლესო, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებზეა ნათქვამი.

როგორც მოგეხსენებათ, ჭაბუკმა „ჯვაროსნებმა“ თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო ბრძოლა უკრაინელებთან დათმეს, თუმცა გიორგი დევდარიანმა და მისმა შეგირდებმა მარცხიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს, დარჩენილი ორი შეხვედრა მოიგეს და ელიტ რაუნდის საგზური მოიპოვეს.

ვულოცავთ!

შოტლანდიელებთან გადამწყვეტი მატჩის წინ ცნობილი გახდა, რომ სხვა ჯგუფებში განვითარებული მოვლენების შედეგად, ჩვენს ბიჭებს მიზნის მისაღწევად შედეგიანი ფრეც აწყობდათ და ამ შემთხვევაში, როგორც ორიდან ერთ-ერთი საუკეთესო მესამეადგილოსნები, ისე გაიკაფავდნენ გზას მორიგი საფეხურისკენ.

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სარბიელზე მხოლოდ მოსაგებად გავიდნენ და მეტოქეს ღირსეული გაკვეთილი ჩაუტარეს – 3:0. გუნდის ლიდერმა ლუკა ზარანდიამ ამჯერად „დუბლი“ შეასრულა და დიდი წვლილი შეიტანა პარტნიორთა წარმატებაში.

უკრაინა-ლუქსემბურგი 6:0.

საბოლოო მდგომარეობა: უკრაინა – 7, საქართველო – 6, შოტლანდია – 4, ლუქსემბურგი – 0 ქულა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXIII ეროვნული ჩემპიონატის XIII ტური. „ტორპედო“ – „დინამო“ 2:2 (გრიგალაშვილი – 2; დვალი, ალვარო), „ჩიხურა“ – „დილა“ 0:2 (თომაშვილი – 2. ეს გორელთა ზედიზედ მეცხრე გამარჯვებაა), „მეტალურგი“ – „ზესტაფონი“ 1:1, „ბათუმი“ – „ბაია“ 0:4, „ვიტ ჯორჯია“ – „მერანი“ 0:0, „კოლხეთი“ – „სიონი“ 0:1. მიაქცევდით, ალბათ, ყურადღებას – მასპინძლებს ერთი შეხვედრაც კი არ მოუგიათ.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 30, „დილა“ – 28, „ტორპედო“ – 26, „ჩიხურა“, „ბაია“ – 23-23, „ზესტაფონი“ – 21, „მეტალურგი“ – 16, „ვიტ ჯორჯია“ – 15, „მერანი“, „სიონი“ – 13-13, „ბათუმი“ – 8, „კოლხეთი“ – 3 ქულა.

ბომბარდირი: დვალი („დინამო“) – 10 გოლი.

11 ნოემბერს ითამაშებენ: „დინამო“ – „ბათუმი“, „სიონი“ – „დილა“, „ზესტაფონი“ – „ტორპედო“, „ჩიხურა“ – „ვიტ ჯორჯია“, „ბაია“ – „კოლხეთი“, „მერანი“ – „მეტალურგი“.

* * *

იტალია. „იუვენტუსი“ – „ინტერი“ 1:3, „რომა“ – „პალერმო“ 4:1, „მილანი“ – „კიევო“ 5:1, „ნაპოლი“ – „ტორინო“ 1:1, „ჯენოა“ – „ფიორენტინა“ 0:1.

ესპანეთი. „ბარსელონა“ – „სელტა“ 3:1, „რეალი“ – „სარაგოსა“ 4:0, „ვალენსია“ – „ატლეტიკო“ 2:0, „მალაგა“ – „რაიო ვალეკანო“ 1:1, „სევილია“ – „ლევანტე“ 0:0.

ინგლისი. „მანჩესტერი“ – „არსენალი“ 2:1, „ვესტ ჰემი“ – „სიტი“ 0:0, „სუონსი“ – „ჩელსი“ 1:1, „ტოტენჰემი“ – „უიგანი“ 0:1, „ლივერპული“ – „ნიუკასლი“ 1:1.

გერმანია. „ჰამბურგი“ – „ბაიერნი“ 0:3, „ბორუსია“ – „შტუტგარტი“ 0:0, „ჰოფენჰაიმი“ – „შალკე“ 3:2, „აინტრახტი“ – „ფიურტი“ 1:1, „ლევერკუზენი“ – „ფორტუნა“ 3:2.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „სენტ ეტიენი“ 1:2, „აიაჩო“ – „მარსელი“ 0:2, „ბორდო“ – „ტულუზა“ 1:0, „ლიონი“ – „ბასტია“ 5:2, „ტრუა“ – „მონპელიე“ 1:1.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

ლიდერი პოზიციებს არ თმობს

გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-10 ტურის შეხვედრები გაიმართა. ასპარეზობის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლელომ“ დიდი ანგარიშით სძლია „აკადემიას“ – 34:13 და საპრემიო ქულაც დაიმსახურა, რითაც გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზე შეინარჩუნა ადგილი.

მეორე ადგილზე მყოფმა „არმიამ“ დაძაბული და დრამატული ბრძოლა გადაიტანა „ჯიქებთან“. პირველ ტაიმში არმიელებმა ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს მეტოქეს – გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი ჯარიმის გატანა მოახერხეს. შესვენებაზეც გუნდები საფეხბურთო ანგარიშით (3:0) წავიდნენ. მეორე ნახევარში თამაშის სცენარი შეიცვალა – „ჯიქები“ გადავიდა შეტევაზე და 65-ე წუთისთვის 9:3 დაწინაურდა. დაბნეული „არმია“ მხოლოდ ამის შემდეგ მოეგო გონს და 70-ე წუთზე არჩუაშვილმა ლელო გაიტანა, ხოლო ბაირამაშვილმა ზუსტი გარდასახვით თავისი გუნდი წინ გაიყვანა – 10:9. საფინალო სასტვენამდე დარჩენილ დროში „ჯიქებს“ ორჯერ შეეძლო მატჩის გადარჩენა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა და ამ ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა – 9:10.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ყოჩები“ – „ლოკომოტივი“ 14:34, „ბათუმი“ – „აია“ 13:26. „ხარები“ (რუსთავი) – „არმაზი“ (თბილისი) – გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ლელო“ – 43 (292:125), „არმია“ – 41 (260:148), „აია“ – 34 (277:144), „არმაზი“ – 25 (181:160), „ლოკომოტივი“ – 22 (211:183), „ჯიქები“ – 22 (272:161), „ბათუმი“ – 14 (143:193), „ხარები“ – 9 (92:196), „აკადემია“ – 9 (87:293), „ყოჩები“ – 7 (156:268).

გივი გაგუა

უჩვეულოდ იალაფებენ

საძარბეველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს თასის „ალაფაზე“ ორჯერ ისასპარეზა. გაისად მსგავსი შეჯიბრების ფინალური ეტაპი ჩილეში გაიმართება. წლეულს ივნისში მსოფლიოს თასის 12 ელიტური გუნდიდან იტალია გამოვარდა და „ალაფაზე“ ევროპისთვის განკუთვნილი ორი ადგილიდან ერთი ავტომატურად დაიკავა. ამიტომაც პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში 19-წლამდელთა 6 ნაკრები იმ ერთადერთი საგზურისთვის იბრძოდა.

19-წლამდელმა „ბორჯღალოსნებმა“ ჯგუფურში ესპანეთი (31:13) და რუმინეთი (20:11) დაამარცხეს, გადამწყვეტ შეხვედრაში კი მასპინძლებს დაუპირისპირდნენ. პირველი ტაიმი პორტუგალიელებმა სოლიდური სხვაობით – 20:3 მოიგეს. მეორე ნახევარში ქართველებმა იძალეს (10:3), თუმცა 17-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა ვერ მოახერხებს და „ალაფას“ მიღმა აღმოჩნდნენ – 13:23.

არბიტრებმაც ვერ უშველეს

გაისად საფრანგეთი 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მონაწილეობა მასპინძლებთან ერთად ინგლისს, ირლანდიას, უელსს, შოტლანდიასა და იტალიას განაღდებული ჰქონდათ. ორი ვაკანტური ადგილისთვის პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ოთხი გუნდი იბრძოდა – მათ შორის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები (ირაკლი სვანიძე, დევი დევსურაშვილი, სანდრო ილურიძე, თემურ ირემაძე, იოსებ კიკვაძე, რევაზ ჯინჭველაშვილი, თემო თუთბერიძე, ზაურ ხარებავა, ბადრი ალხაზიშვილი, ბექა კაპანაძე, როლანდ კვაჭაძე, გეგა ხანთაძე, დავით პაპავაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი, ჟორა მღებრიშვილი, გიორგი თორაძე, დავით ფხაკაძე, გიორგი როყვა, ბექა გორგაძე, დავით გულიტაშვილი, იოსებ ტუკვაძე, ბადრი ლიპარტელიანი, დავით ლობჟანიძე, ვასილ ლობჟანიძე, ბადრი ღონღაძე, გიორგი ხვისტანი, მთავარი მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილი, მწვრთნელი მამუკა ტყეშელაშვილი). ჩვენმა ბიჭებმა ჯერ გერმანიას მოუგეს 50:13, შემდეგ – ბელგიას 55:6 და გადამწყვეტ პაექრობაში პორტუგალიას დაუპირისპირდნენ. ახალგაზრდა „ჯვაროსნების“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფინალში მასპინძლებიც დაჩაგრეს და მათი ქომაგი არბიტრებიც. რეფერიმ პირველ ტაიმში ქართველები 12-ჯერ დააჯარიმა, პირენეელები – ორჯერ, ამის მიუხედავად, ჩვენებურებმა პირველი ტაიმი 19:17 მოიგეს. შესვენების შემდეგ ქართველთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მსაჯებიც ვერაფერს გახდნენ და მასპინძლებმა შერცხვენილებმა დატოვეს მოედანი – 17:33. ამ წაგების მიუხედავად, გრენობლში ქართველებთან ერთად პორტუგალიელებიც გაემგზავრებიან.

საქართველო – 15 (138:36), პორტუგალია – 10 (89:46), ბელგია – 4 (29:99), გერმანია – 1 (22:97) ქულა.

ნატა ნიბლაძე

◎ კალათბურთი

წაგების მიუხედავად

ხვალ საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „არმია“ ჰოლონში ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდის სასტარტო შეხვედრას გამართავს „ჰაპოელთან“.

ისრაელში გამგზავრებამდე თავდაცვის სამინისტროს გუნდმა სუპერლიგის მესამე ტურის მატჩში „სამედიცინოსთან“ ძმების ვლადიმერ და ანატოლი ბოისების გარეშე გაინავარდა, რომელთაც კოტე ტუღუშმა დასვენების საშუალება მისცა – 95:45.

ამ უთანასწორო ბრძოლის ბომბარდირი, ისევე როგორც დღის კიდევ ორ თამაშში, წაგებულთა წარმომადგენელი გახდა: გიორგი რევაზიშვილი – 14 ქულა („სამედიცინო“), „ოლიმპი“ – „ბათუმი“ 94:63. გიორგი ნანიტაშვილი („ბათუმი“) – 27 ქულა, შსს აკადემია – თსუ 82:68. გივი ბაქრაძე (თსუ) – 24 ქულა.

რაც შეეხება ტურის ცენტრალურ დუელში „რუსთავის“ მიერ თბილისის „დინამოს“ ძლევას – 78:64, თავი გამარჯვებულთა ამერიკელმა ლეგიონერებმა ნელსონმა (21 ქულა) და ბოუიმ (20 ქულა) ისახელეს.

„ქუთაისი“ – სტუ 76:63. ისვენებდა „სოხუმი“.

სატურნირო მდგომარეობა: „რუსთავი“, შსს აკადემია – 3-3, „დინამო“, „ქუთაისი“, „არმია“, „ოლიმპი“ – 2-2, თსუ – 1, სტუ, „ბათუმი“, „სამედიცინო“, „სოხუმი“ – 0 მოგება.

შემდეგი ტური: „ქუთაისი“ – „დინამო“ (9 ნოემბერი), „სოხუმი“ – „ბათუმი“, შსს აკადემია – „რუსთავი“, „ოლიმპი“ – თსუ, „არმია“ – სტუ (10 ნოემბერი). ისვენებს „სამედიცინო“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფარიკაობა

მესამე ადგილს დასჯერდა

უკრაინის დედაქალაქში დამთავრდა ხმლით მოფარიკავეთა მსოფლიო თასის ეტაპი ახალგაზრდებს შორის. 17 ქვეყნის 96 მონაწილეს შორის ოთხი საქართველოს წარმომადგენელიც გახლდათ. მათგან გამოირჩა სანდრო ბაზაძე, რომელმაც თბილისში 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის თასის ეტაპზე მეორედ მოიპოვა პირველი ადგილი. კიევში სანდრომ წარმატებით იასპარეზა ჯგუფურ ტურნირში. შემდეგ პლეი ოფში ზედიზედ დაამარცხა ჰილმარ ჯონსონი (ისრაელი) – 15:5, არტსიომ კარაბინსკი (ბელარუსი) – 15:12, არტურ ოკუნელი (რუსეთი) – 15:9, რომან სიდორენკო (უკრაინა) – 15:11 და მხოლოდ ნახევარფინალური შეხვედრა წააგო ამერიკელ ჯეფრი ლოსთან – 12:15. საბოლოოდ რუს დმიტრი დანილენკოსთან ერთად მე-3 ადგილი დაიკავა. გადამწყვეტ პაექრობაში ოკეანისგაღმელმა უკრაინელ კონსტიანტინ ვორონოვს აჯობა (15:12) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

დანარჩენ ქართველ მოფარიკავეთაგან მიხეილ მარდალეიშვილი 33-ე ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო დავით უკლება და საბა სულამანიძე, შესაბამისად, 52-ე და 79-ე ადგილებზე გავიდნენ.

ლაშა დიდია

◎ სპორტული საოცრება

ამ კაცმა უნდა თქვას – ცალი ხელით ვერ ევიო!

ამერიკელმა მოკრივემ მაიკლ კონსტანტინომ, რომელსაც დაბადებიდან... მარჯვენა ხელის მტევანი არა აქვს, გასულ კვირას ნიუიორკში, პროფესიულ რინგზე გამართულ თავის პირველ ბრძოლაში გაიმარჯვა.

33 წლის მოკრივემ, რომელიც თავს იცავდა მოკლე მარჯვენა ხელით, ჯანსაღი მარცხენათი კი მეტოქეს უტევდა, ორთაბრძოლის მეორე რაუნდში მოწინააღმდეგე დაანოკაუტა.

– უბრალოდ, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს მაშინაც კი, როცა გარემოებები კაცისთვის არახელსაყრელია, – თქვა პაექრობის დასრულების შემდეგ მაიკლ კონსტანტინომ. – მთავარი ისაა, რომ კაცს საკუთარი ძალებისა უნდა სწამდეს და ძალიან ბევრი იმუშაოს.

– მე კიდევ ორი თვე რომ მევარჯიშა, კონსტანტინოს პირველსავე რაუნდში მოვუგებდი, – ეს კომენტარი გააკეთა მისმა მოწინააღმდეგემ ორტისმა, რომელმაც ზედიზედ მეოთხე მარცხი იგემა. – ისე კი, სიმართლე უნდა ვაღიარო, რომ ცალხელა მოკრივე გაცილებით უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე გამოდგა, ვიდრე მეგონა.

მანამდე კი მაიკლ კონსტანტინომ ამერიკის შეერთებული შტატების ორ სამოყვარულო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და ერთხელ მეოთხედფინალამდეც მიაღწია.

ამერიკელი მოკრივის თქმით, რინგზე გამოსვლის სურვილი მას ცნობილმა სამხრეთაფრიკელმა მძლეოსანმა ოსკარ პისტორიუსმა გაუჩინა, რომელმაც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე პროტეზებით გამოსვლისას, 400 მეტრზე სირბილში ნახევარფინალამდე მივიდა!

ირმა ირემაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

გულდაწყვეტილი კოლეგა

იგი **რასაც წერდა და ბეჭდავდა (არც გაზეთს ვასახელებ და არც იმის ვინაობას), ერთთავად იყო მიშას ხელისუფლების ქება და ოპოზიციური აზრის გაკილვა... ჰოდა, ახლა იმავე გაზეთში ნამეტანი გულდაწყვეტილია — სამსახურიდან დამითხოვესო, უკვე დრო ბევრი მაქვს, მაგრამ მაინც იქ ჯობდა — ქალები დილიდანვე ყავას ვხვრეპდით და თან ვჭორაობდით, მერე კი კომპიუტერს მივუჯდებოდი ხოლმეო, ახლა, უნდა შევეგუო სახლში ჯდომასო...** ამ ფიქრით იგი რუსთაველზე მისეირნობს, მოხუცი მეყვავილე ქალისგან ყვავილების თაიგულს ყიდულობს — ეს საბრალოო, ეცოდება მეყვავილე, იქვე, მათხოვარ შაოსან ქალს რომ შეხედავს, სულ აუწყლიანდება თვალები, ღმერთო, ეს რა ხდებაო... ამ ჭადრებთან რა უნდოდათ, რატომ დაჭრეს, ჩემს ბავშვობას მაგონებდაო, ანდა ამ ლაღიძის წყლების მოშლა იქნებოდაო?!. ვითომ პირველად ხედავს, ვითომ მიშას ხელისუფლებას არ ჩაედინოს ყოველივე ეს. ახლა გაუჩნდა დამარცხებული ხელისუფლების საგინებელი აზრები, ეს აზრები ქაღალდზე თუ გადაიტანა, შეიძლება მიიღონ კიდეც უკან — სამსახურში, მაგრამ, როდემდე, „ხან ისე“, „ხან ასე“, ძვირფასო ქალბატონო?! ალბათ, ეგ ადვილია შენთვის და შენი მსგავსი ზოგიერთი კოლეგისთვის... თუმცა, ყველამ თავისი საქმე იცის!.. მე პირადად, დღესაც ყურში ჩამესმის გასული საუკუნის 60-იან წლებში დედაუნივერსიტეტის ბაღში, ჩვენი „დამრიგებლის“, დაუვიწყარი შოთა ჩანტლაძის, არყის გადაკვრისას ამონათქვამი, უმცროსი მეგობრების გასაგონად:

„არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ცოტა პური, ცოტა ღვინო,
წლიდან წლამდე გამყოლია“.

რა სჯობდა ასე ცხოვრებას, მაგრამ, ჰაი, ჰაი, რომ ძნელი იყო... ჩვენი მასწავლებელი მაინც ასეთ ცხოვრებას გვირჩევდა.

„ბონდო, მომზადებული მოდი ხოლმე პარლამენტში!“

— ნახეთ, ხალხო, რას აპირებს ეს ახალი ხელისუფლება?!. აღარც დახმარებაო, აღარც არაფერიო!.. ეს არის ამათი დაპირება?!

— ბონდო, რომ განგიმარტეს ყველაფერი და ბოლოს ფინანსთა მინისტრმაც ილაპარაკა, ის თუ ნახე?!.

— არა, ის არ მინახავს... მერე ქე დავიძინე!..

გიჟდება ოთარი, თან „შაყირობს“: — ჰოდა, მომზადებული მოდი ხოლმე პარლამენტში!.. საკითხი კარგად შეისწავლე და ისე მოდი!.. უგულავა თავისი ჭკუით რაღაცას „ქსოვს“, რათა სიტუაცია არიოს და შენც დაიჯერე?!. ახლა ბიძინა ივანიშვილი იმის ჩიტია, 600 ათასი თბილისელი აიჯანყოს?!. ამას მაინც არ უფიქრდები?!

— კი, ბატონო!.. მეც არ მეგონა?!.

„მე ისევე უფულო ვარ!“

ჩემს გვერდით, ძელსკამზე „ალექსანდრეს ბაღში“, ორი შუახნის მამაკაცი ჩამოჯდა, ხმამაღლა საუბრობენ: — რას შობი, ახლა, რას აკეთებ?!. — ეკითხება ერთი მეორეს. იგი ეტყობა „პოეტურად მოაზროვნეა“ და ლექსად ეუბნება მეგობარს თავის გასაჭირს:

— როგორ ვარ და, როგორც ტარიელ ჭანტურია ამბობს:

„უკვე დადგა, რა ხანია,
ახალი ათასწლეული,
მე ისევე უფულო ვარ,
და ისევე დანძრეული“.

რა თქმა უნდა, ყური მომჭრა ლექსმა, გავიხედე მოსაუბრეებისკენ, თურმე ისინიც იყურებიან ჩემკენ ღიმილით — მგონი, შეიცნეს, რომ ერთ ბედქვეშა ვართ.

„პარლამენტში მუშაობა“ უინტერესო გახდა

იცით, რა მოხდა?... „სხდომების“ შემდეგ ერთ-ორ ჭიქას ველარ ავწევთ ხოლმე. აქამდე, „დაცვის პოლიციის“ ტალიკა ბიჭები, როგორ იკადრებდნენ ჩვენს შეწუხებას, პირიქით, სახელდახელო პურობაზე, თუ საშუალება ჰქონდათ, დაგვეწვეოდნენ კიდეც. წავიდა „დაცვის პოლიცია“, მოვიდნენ მერიის მიერ გამოგზავნილი ახალგაზრდები, რომლებიც თავისებურ (ეტყობა, მერიიდან დანაბარებ) წესრიგს ამყარებენ „ალექსანდრეს ბაღში“ — ალკოჰოლიან სასმელს კი არა, „კოკა-კოლას“ რომ აყოლებდე, იქვე, მარკეტში ნაყიდ ხაჭაპურს, ბოთლს შეგიმოწმებენ, ალკოჰოლის სუნი ხომ არ ასდისო. ერთი-ორჯერ უკვე მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს, „ლოთი-შფოთი“ ბიჭები, ძელსკამზე რომ უყვართ პურ-ღვინოს გაშლა და ყელმოღერება.

მოკლედ, სულ სხვა წესრიგი მყარდება ბაღში: რამდენიც გინდა იყაყანე, ოღონდ, ბოთლი არ დაანახო წესრიგის დამცველებს. ერთი ჩვენი „პარლამენტის“ წევრი შეწუხებულია, კაცო, ყურძენი იმიტომ დავწურე, აქ მომეტანა ხანდახან ღვინოო (მეტი შენ რა გითხარიო, ჩაილაპარაკა ბონდომ)... მოკლედ, „პარლამენტს“ გვარიანად „დაეერხა“, სამაგიეროდ, იცოცხლეთ, ამ სიმკაცრის გამო, „პარლამენტარების“ ცოლები მერიას ლოცავენ!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ „სად წაიყვანენ სადაურსა“

კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

თამარ მარჯანიშვილი (მარჯანოვა) (1868-1936)

დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაი, სქიიღუმენია ფამარი, ერობაში თამარი. დაიბადა საქართველოში, მაშინდელ სოფელ ყვარელში. კავკასიის ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, პეტერბურგის კონსერვატორიაში აპირებდა შესვლას და ჩავიდა კიდევაც „ჩრდილოეთის დედაქალაქში“, მშობლების გარდაცვალებამ შეუცვალა ცხოვრება.

პეტერბურგიდან ყვარელში დაბრუნებულმა თამარმა თავის თავზე აიღო ოჯახის გაძღოლა, თუმცა 1889-ში, ყველასთვის მოულოდნელად, ბოდბის დედათა მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად და იუვენალიას სახელი მიიღო. 1902 წელს, იღუმენიას ხარისხში ამაღლებული, მონასტრის წინამძღვრობას იბარებს.

ბოდბის მონასტერი რუსეთის იმპერიის პირველი კლასის სავანეთა რიცხვში შედიოდა. წმინდა სინოდმა იცოდა დედა თამარის გამორჩეული ეროვნულობის თაობაზე და 1907-ში, იმისი ნების საწინააღმდეგოდ, მოსკოვში გადაყვანა და პოკროვის რელიგიური თემის წინამძღვრობა დაუდგინა.

იღუმენია იუენალიამ (დედა თამარმა) დააარსა ახალი დედათა სავანე — სერაფიმე-ზნამენსკის სახატე, რომელიც 1912 წელს აკურთხა მოსკოვის მიტროპოლიტმა ვლადიმერმა (სახატემ 12 წელი იარსება, 1924-ში ბოლშევიკთაგან დახურვამდე). 1916-ში დიდი სქიმით შემოსილი დედა თამარი სქიიღუმენიად წოდებული შეიქნა, რუსიფიცირებული სახელით ფამარი.

1931 წელს დააპატიმრეს საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მოთავეებთან კავშირის ბრალდებით და ბუტირკის ციხეში ჩასვეს. გასამართლებულს, უკვე 60 წლის სქიიღუმენიას, 5 წლით გაციმბირება მიესაჯა.

კოტე მარჯანიშვილმა ყველაფერი იღონა დის გასათავისუფლებლად, კრემლის უმაღლეს ხელისუფალთაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ, ერთ-ერთი უარის მერე, 1933 წლის 4 აპრილს, ღამით, დიდი რეჟისორი ავტომობილში გარდაიცვალა გულის შეტევით. კოტეს მეგობრებმა მაქსიმ გორკიმ და პავლე კორინმა (მხატვარმა) შეუძლებელი შეძლეს და 1934-ში დედა თამარი გადასახლებიდან დაიხსნეს. ხელისუფლებამ მას არ მისცა საქართველოში ცხოვრების უფლება.დაჭლექებული ქალი ბელორუსიაში დასახლდა, სარკინიგზო სადგურთან პიონერსკაიასთან, სადაც გარდაიცვალა კიდევაც ორი წლის შემდეგ.

განსვენებულს წესი აუგო სერპუხოვის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე არსენიმ (ჟადანოვსკიმ). დაკრძალეს მოსკოვში, ვედენოს მთაზე, ტაძრად მიყვანების სამყოფელში. „რომელი მრწმენა, ცხონდესვე უკუნისამდე“ — ასეთია წარწერა საფლავზე...

მოამზადა
თამაზ ეგანოიძემ

◎ წკეპლიკა

როგორმა ფურმა დამწიხლოს?..

ახლახან ტელეეკრანიდან ქუთაისში გადმოდგა ნაცთა სიით „განპარლამენტარებული“ ჩიორა თაქთაქიშვილი და აწინდელი საპარლამენტო უმრავლესობა უცერემონიოდ გადაშანშხალებულ წარბებშეუხრელად დაადანაშაულა უმცირესობის წევრთა მოსყიდვაში, „იქით“ გადაბირებაში, მათზე ზეწოლაში, პრობლემების შექმნის მუქარაში და ა. შ. და ა. შ.

„ქართულ ოცნებასა“ და ქართულად მეოცნებეებს (ვისარგებლებ შემთხვევით და აქვე აბრევიატურების შემოთავაზების ნებას მივცემ თავს — ვინ იცის, ეგებ გამოდგეს — **ქაროცნესა და ქაროცნელებს**) ჩემი გამოსარჩლება თუ ადვოკატობა როდი სჭირდებათ, მაგრამ მე მჭირდება, ჩემს მოქალაქეობრივ თუ ჟურნალისტურ პოზიციას სჭირდება.

ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო — არ არის ზედგამოჭრილი ქალბატონ ჩიორას (აქვე საკითხავად — რამდენად უხდება ჩიორობას ქალბატონობა!..) ამ ტელეგამოხდომაზე? განვლილ არჩევნებზე მოსყიდვა — ლარების დარიგება — ზეწოლა-მუქარა — ოჯახების ჩამოვლა — უბნებზე მივარდნა და სხვა ათას ჯანდაბაზე მეტი რა აკეთეს ნაცება?.. ახლა აქეთ, „გალმა“ დავობენ (სხვათა შორის, მარტო გადაბირების კი არა, ახალი მინისტრების პროგრამებისა თუ დაპირებების თემებზეც)?

ისე, მე პირადად, საზოგადოების რიგითი წევრისა თუ გნებავთ, ერთი ტელემაყურებლის ენა-პირით, წიკლაურია თუ მინაშვილია თუ გაბაშვილია თუ თაქთაქიშვილია თუ ხერხეულიძეა თუ სხვაა და სხვაა — ცოტა ნირის შეცვლას, ტონის დაწევას, не возникай-ს ვურჩევდი იმ რეალურ ფონზე, რაიც ცხრაწლიანი „მოღვაწეობით“ შექმნეს...

ჩიორას რაც შეეხება, მართალია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყველაზე დიდ აღმოჩენად მონათლა ერთმა ნაცელიტურმა ფიგურამ, მაგრამ თავი მართლა აღმოჩენა ნუ ეგონება, აწ მაინც...

...იმ ტელეეკრანულ „საბრალდებო დასკვნამ “ კი ლექსაობის გუნებაზე დამაყენა: ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო, „ნაგლად“ გამოჩნდი რომაო — ნუღარ გამოჩნდები, ამ ცხოვრებას რასაც გამორჩი, მეტს ველარ გამორჩები... კიდევ: პოლიტიკას და ტელეეკრანს კვლავ რომ ეჩრები — ხომ არ გგონია შენი თავი ნაცთა ტეტჩერი...

წერილის სათაურად დასმულ კითხვას კი მარტივი პასუხი აქვს: ისეთმა, ჩემზე მეტს რომ იწველიდესო...

ბერდია ბედოიძე



ქ. ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლისა და აკაკი წერეთლის სახელობის I საშუალო სკოლის 1955 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის, თბილისში საზოგადოება „ზუგდიდელის“ ხელმძღვანელის, რუსთავის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარის, ცნობილი ინჟინერ-სპეციალისტისა და ამასთან საქართველოს ისტორიის (კერძოდ, კოლხეთის) მკვლევარის

ანზორ შონიას

გარდაცვალების გამო და გულწრფელად თანაუგრძნობს მის შესანიშნავ ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილის

თედო რეხვიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

2012 წლის 20 ოქტომბერს ნოტარიუს იამზე ჩანქსელიანთან გაიხსნა სამკვიდრო 2012 წლის 20 აპრილს გარდაცვლილ დავით გაბისონიას, დაბ. 1941 წლის 24 დეკემბერს პ/№01017016987, დანაშთ ქონებაზე — დაინტერესებულ პირებს სამკვიდროს მისაღებად შეგიძლიათ მიაკითხოთ სანოტარო ბიუროში. მის: თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №7.

ნოგარიუსი **იამზე ჩანქსელიანი**

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება ჩემი კუთვნილი პენსია ბინაზე მომიტანონ? ვარ I ჯგუფის ინვალიდი, არ მყავს კანონით ვალდებული მარჩენალი და მიჭირს ყოველთვიურად ბანკში მისვლა.

აკაკი მორგოშია

პასუხი: პენსიონერისთვის პენსიის ბინაზე მიტანა ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, პენსიონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე. აქვე გაცნობებთ, რომ პირობები, რომლებიც თქვენს შეკითხვაშია მითითებული, საკმარისია იმისთვის, რომ პენსია ბინაზე მოგიტანონ. აღნიშნულ საკითხზე საჭიროა მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს თქვენი რაიონის სამსახურს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაიჯესტი

იქნებ ზომიერება ჯობდეს?

სკანდალურად ცნობილი მუსლიმანთა რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელი ფილმის „მუსლიმთა უბიწობის“ შემქმნელებს, როგორც ჩანს, სულაც არ აღელვებდა ის, თუ რა გამოძახილს გამოიწვევდა მათი ქმნილება მუსლიმანურ სამყაროში და, როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადჰყო, ძალიან ტყუილად.

ამგვარი დაუდევრობა (უფრო სწორად კი სიბრიყვე) მარტო მათთვის არ არის დამახასიათებელი. მაგალითად, ამერიკელ პასტორს ტერი ჯონსს, რომელმაც ყურანი რამდენჯერმე საჯაროდ დაწვა, თავისი მრევლის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. 2010 წელს მას ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა პირადად დაურეკა და სთხოვა, ავღანეთში ამერიკელ ჯარისკაცთა სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაეგდო თავისი საქციელით, მაგრამ ღვთისმსახურმა მას ყური არ ათხოვა.

ევროპაში კი, წინასწარმეტყველ მოჰამედზე კარიკატურებით გამოწვეული დარბევების შემდეგ, დანიის პრესაც კრიჭაში ჩაუდგა და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება დაიცვა. ამან მუსლიმანურ ქვეყნებში დანიური საქონლის ბოიკოტი გამოიწვია, მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარი აზრის და სიტყვის გამოთქმის თავისუფლება დანიელთათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

დაახლოებით იგივე ხდება ამჟამად საფრანგეთსა და ავსტრალიაში.

გოგოვ, სვირინგიანო...

ჯერ შემოდგომა არ მიწურულა, მსოფლიოს წამყვანი დიზაინერები კი მომავალი ზაფხულის ახალ-ახალ სამოსელს სთავაზობენ ქალბატონებს, თანაც აშკარად არა იმდენად მათ შემოსვაზე, რამდენადაც გაშიშვლებაზე ზრუნავენ.

თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთ ქალიშვილს ძლიერი სქესის წარმომადგენელთა ყურადღების მისაპყრობად გაშიშვლება სულაც არ სჭირდება, როგორც არ სჭირდება ის ამ ახალგაზრდა მექსიკელს, რომელმაც სვირინგით, პირსინგითა და პლასტიკური ოპერაციებით საკუთარი სხეულის 90 პროცენტი შეცვალა (!).

ისე, ეგეც კია, რომ ეს სანახაობა სუსტი ნერვების მქონე ხალხზე გათვლილი მაინცდამაინც არ უნდა იყოს.

არაოლიმპიური სპორტი

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები სპორტის არაერთი სახეობითაა გამდიდრებული, რომელიც არა თუ ძველ საბერძნეთში, არამედ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, პიერ დე კუბერტენსაც კი არ დასიზმრებია.

სპორტის მრავალ, ასე ვთქვათ, ახლადგამოჩეკილ სახეობასთან ერთად, რომელიც ამჟამად ზამთრისა თუ ზაფხულის ოლიმპიადებს ამშვენებს, არქტიკული სერფინგი და ველოსიპედით წყალში ხტომა ჯერჯერობით არ შედის. მაგრამ, დაგვეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, რომ ნამდვილად აღფრთოვანებას იწვევს ის ხალხი, ვინც ათმეტრიანი ტრამპლინიდან ველოსიპედით წყალში ხტება, თან ჰაერში ორმაგ სალტოს აკეთებს, ანდა ყინულიან ნორვეგიის ზღვაში უზარმაზარ ზვირთებზე „დაჯირითობს“!

პეროინი, ნარინჯისფერი ფრჩხილები...



ამერიკის კინოაკადემიის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს „ოსკარის“ 31 წლის ლაურეატი ნატალი პორტმანი, რომელმაც მაყურებელს თავი ჯერ კიდევ მოზარდობაში არაჩვეულებრივ კინოფილმ „ლეონში“ ნათამაშევი როლით დაამახსოვრა, თავის მეგობარზე, 35 წლის მოცეკვავეზე ბენჟამენ მილპიეზე იქორწინა.

მილპიე პორტმანის პარტნორი იყო გახმაურებულ ფილმში „შავი გედი“, შემდეგ კი წყვილი რამდენიმე წელიწადს სამოქალაქო ქორწინებაში ცხოვრობდა. შარშან „შავ გედში“ შესრულებული მთავარი როლისთვის „ოსკარის“ მიღებისას ფეხმძიმე ნატალიმ სცენიდან ბენჟამენს მადლობა გადაუხადა „ულამაზესი სიყვარულისთვის“, რამდენიმე თვეში კი მას ბიჭი შეეძინა, რომელსაც ალეფი დაარქვეს.

პორტმანისა და მილპიეს ქორწილში მიწვეულთა შორის იყო მაკოლეი კალკინის – კომედიის „მარტო სახლში“ და სხვა ჰოლივუდური პოპულარული კინოფილმების ვარსკვლავი, რომლის წარმატებული კარიერა 90-იანი წლების შუაში შეწყდა, როცა უსაყვარლესი ბიჭუნა ჭაბუკობაში შევიდა. ახლა კალკინი 31 წლისაა და საშინლად გამოიყურება. ტაბლოიდებმა ერთხმად აიტაცეს ჭორი, რომ მსახიობი ჰეროინზეა „შემჯდარი“, რაზეც ყოველთვიურად 6 ათას დოლარს ხარჯავს და, სულაც, ნახევარი წლის სიცოცხლეღა დარჩა. მართალია მისმა პრეს-ატაშემ მაშინვე უარყო ეს ამბავი, თუმცა ქორწილში მისული მსახიობი სავალალო სანახავი იყო.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გახდეთ

„არ შეიძლება, ქმარი პარლამენტის თავმჯდომარე იყოს და ცოლი – საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი“

– აცხადებს ნანა დევდარიანი, – რესპუბლიკელები ვერასდროს ვერ მოხვდებოდნენ პარლამენტში და ახლა ასე ფართოდ არიან წარმოდგენილი... ჩემთვის ძნელიც კია წარმოვიდგინო, შევარდნაძის პერიოდში ცოლი და ქმარი ყოფილიყვნენ ერთად პარლამენტში, ქმარი პარლამენტის თავმჯდომარე ყოფილიყო, ცოლი კი საგამოძიებო კომისიისა. ორი ძმა ყოფილიყო ერთად შესული პარლამენტში, სიძე-ცოლისდა ყოფილიყო ერთად აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ეს რომ შევარდნაძის დროს ყოფილიყო, დაამხობდა თავზე ყველაფერს მაშინდელი ოპოზიცია.

„ახალი თაობა“

„იმედია, ჩვენი საზოგადოება აღარასოდეს შობს სააკაშვილისნაირ მახინჯ პირმშოს“

– ამბობს ცოტნე გამსახურდია და ციხეში გატარებულ წლებზე ყვება: „საპყრობილეში ისეთი რამეები ვნახე, ჩამოყალიბებული ფსიქიკა რომ არ მქონოდა, ადამიანები სამუდამოდ შემძულდებოდა... გარკვეულწილად, სააკაშვილი მეცოდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პასუხი არ უნდა აგოს. ამას წინათ ტელევიზიით ვნახე მისი გალურჯებული სახე, გავიგონე მისი გატეხილი ხმა და დაბნეული ლაპარაკი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანს ჩვენი სისხლის წოვის მეტი არაფერი გაუკეთებია, მაინც შემეცოდა.

„კვირის პალიტრა“

ვისთვისაა ხელსაყრელი გაფიცვები სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე

ჯერ რკინიგზა, ახლა კი – ფოთის პორტი... ობიექტებზე, რომელთა გამართულ მუშაობასაც ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მონაცვლეობით ხდება მასშტაბური გაფიცვები. მეხუთე დღეა ფოთის პორტის 70 პროცენტი პარალიზებულია.

პროფკავშირების პრეზიდენტი ირაკლი პეტრიაშვილი ამბობს: „ეს პროცესები ამ მდგომარეობაში გაჭედილი იმიტომ არის, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ ფოთის პორტში დანიშნული კადრები უშლიან ხელს... კონკრეტული გვარებია ჩემთვის ცნობილი, ამ მოლაპარაკებებს ვინც შეიძლება ხელს უშლიდეს, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

„რეზონანსი“

რა საიდუმლო გაუმხილა ფინანსთა მინისტრმა „ძრონიკას“ და რა მასალები გადაეცემა მთავარ პროკურატურას?!

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური კვირის გმირი გახდა. ჯერ იყო და სააკაშვილის ადმინისტრაციას კაპიკ-კაპიკ დაუთვალა კომუნალური ხარჯები, მერე ინფრასტრუქტურულ პროექტებში უაზროდ გახარჯული თანხები გაშიფრა და, ბოლოს, მისი უშუალო შუამდგომლობით პრემიერმა ივანიშვილმა გააუქმა ყოფილი პრემიერის მერაბიშვილის, განკარგულება, რამაც ქალაქის მერიისა და „ნაცმოძრაობის“ გაღიზიანება გამოიწვია.

„ძრონიკა“

სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორი სააკაშვილ-მერაბიშვილის მაფიაზე ალაპარაკდა

გიგლა ბარამიძე „ვერსიის“ კორესპონდენტს უამბობს: „სამცხე-ჯავახეთში იყო ხე-ტყის, ქვის, ჯართის, გაზის მაფია, რომელიც ხელისუფლების საარჩევნო კამპანიასა და პიარს აფინანსებდა, ქრთამს კი დოლარებში კი არა, ნიკოლოზის ოქროს თუმნიანებით იხდიდა... აქ იყო ვალეს საბაჟო – ჩემს ჩასვლამდე იქ სააკაშვილი აკონტროლებდა სხვადასხვა სექტანტური ლიტერატურის განუბაჟებლად შემოტანას. სამაგიეროდ ამ სექტებიდან სერიოზულ თანხებს იღებდა.

„ვერსია“

ანეკდოტები

– ძმარს ვუღალატე. და ჩემი სიკვდილის დღეს მას აუცილებლად მოვუყვები ამის თაობაზე.

– კი, მაგრამ, რა იცი, როდის დადგება შენი სიკვდილის დღე?

– ვიცი. ეს ის დღე იქნება, როდესაც მას ამის თაობაზე მოვუყვები.

* * *

ივან ივანიჩის დაკვირვებიდან: ოჯახში ბავშვები ავად არ ხდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლოთობას იწყებენ.

* * *

– ნახე, მონია, ეს კაცი მე დავაყენე ფეხზე...

– უყურე შენ, არც კი ვიცოდი, თუ ასეთი ქველმოქმედი იყავი!

– .მანამ, სანამ ერთმანეთს შევხვდებოდით, ის თავისი „ლექსუსით“ მიდიოდა.

* * *

პოლანდიელი მღვდლები მხარს უჭერენ მსუბუქი ცოდვების ლეგალიზაციას.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com